# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 2009 წელი.

№ 234 (6334)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## „ქართული ჯანდაცვის სისტემა გრიპთან საბრძოლველად მზად არ არის“

2



ჭაბუა ამირეჯიბი:



## „ადამიანი მხოლოდ მაშინ წავა ამქვეყნიდან, როდესაც აღარაფერი ექნება სათქმელი თავის ხალხისთვის“...

3

## ეს არის ბიზნესის ხელშეწყობა?

9

## ნაცრის გუდის რესურსები ამოუწურავია!

5

რა ღირს ჯანმრთელობა?

## ზვიად გამსახურდია მოკლულია?

2



## ბაღაფშს მეორე ტურისა ეშინია

8

## ის, რაც დავითაშვილს კარგად ახსოვს, მიშას დაავიწყდა

3

„თუ ხალხს არ მოხმარდა, რა საჭიროა ბიუჯეტი?!“




## „ვოლფ მესინგი ძალიან აინტერესებდა იოსებ სტალინს, – გვიამბობს ისტორიკოსი როი მედვედევი.

მან არა მხოლოდ ჰიტლერის დაღუპვა იწინასწარმეტყველა, არამედ გამარჯვების ზუსტი თარიღიც კი – 8 მაისი!



## მესინგის საიდუმლო

9



## საზოგადოებრივი მაუწყებლის დაკარგული მილიონების დაბრუნებას ითხოვენ

2

SIC!

# დავით საგანელიძე: ქართული ჯანდაცვის სისტემა გრიპთან საბრძოლველად მზად არ არის



**სპეციალისტები საქართველოში H1N1-ის ვირუსით დაავადების შემთხვევების გახშირებას იანვრიდან ელიან. უკრაინაში შექმნილმა მდგომარეობამ, სადაც ექსპერტების მტკიცებით, ხელისუფლებამ ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით რეაგირება დააგვიანა, დაადასტურა, რომ უყურადღებობამ, შესაძლოა, საგანგაშო მდგომარეობა შექმნას. თუმცა, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელების მტკიცებით, ქვეყანა მზად არის ვირუსის შესაძლო გავრცელებისთვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმა უკვე შემუშავებულია. ამ ოპტიმიზმს არ იზიარებს „ალიანსი საქართველოსთვის" წევრი დავით საგანელიძე, რომლის აზრითაც, ქვეყანა ისევ „ღვთის და საზოგადოების მაღალი ორგანიზებულობის იმედადაა".**

**დავით საგანელიძე:** — საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ ვიცი, რისი იმედი უნდა გვქონდეს. ალბათ, ისევ ღვთის და საზოგადოების მაღალი შეგნებისა და ორგანიზებულობის. ზოგადად, ქართული ჯანდაცვის სისტემა უმდაბლეს დონეზეა. იქ დაწყებული ვითომდა რეფორმები არასწორი მიმართულებით წავიდა და სიტუაცია უფრო დამძიმდა. ყველანაირი კავშირია დარღვეული და არანაირი კოორდინაცია არ არსებობს. მოკლედ, იმედი უნდა გვქონდეს, რომ H1N1 არ გავრცელდება მასობრივად საქართველოში და როგორც გვჩვევია, ქართული საზოგადოება მაღალ ორგანიზებულობას გამოიჩენს.

**— მძიმე პროგნოზს აკეთებთ.**

— ეს რეალობაა. მართლა ღვთის იმედად უნდა ვიყოთ. ჯანდაცვის სამინისტროს არც ერთი პრევენციული ნაბიჯი არ გადაუდგამს და მხოლოდ რაღაც ზოგადი განცხადებების გაკეთებით არის დაკავებული.

**— კონკრეტულად რა პრევენციული ზომები უნდა განეხორციელებინა?**

— ეს იმდენად რთული და ფართო თემაა, რომ ამაზე საუბარს ძალზე დიდი დრო დასჭირდება. ვიმეორებ, ჯანდაცვის სისტემა არის უმდაბლეს დონეზე, ყველა წამოწყებული რეფორმა ჩავარდა და ამ ფონზე რატომღაც სამინისტროს ხელმძღვანელები ძალზე მშვიდად არიან.

**— სხვათა შორის, ჯანდაცვის მინისტრმა ქართულ მედიას უსაყვედურა, რომ ისინი აზვიადებენ H1N1-ის საფრთხეს და მოსახლეობაში პანიკას თესავენ.**

— ქართული მედიის ზოგიერთი რამ ჩემთვისაც მიუღებელია, მაგრამ ამ საკითხში მათ სასაყვედურო არაფერი აქვთ. სანამ რაიმე უბედურება მოხდება, მანამდე უნდა შემოვკრათ განგაშის ზარები. მეტიც, ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლებს უნდა შემოეკრათ ეს ზარები, რათა ზოგიერთს ყურები გამოეფხიკა. ჩაეტარებინათ პრესკონფერენცია და წარმოედგინათ კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი ყველაფერი. მაგრამ რაც არ აქვთ, რას წარადგენენ?!



**— თუ არ ვცდები, ჯანდაცვის საბჭომ გარკვეული გეგმა შეიმუშავა.**

— არ მგონია, რაიმე გეგმა შეემუშავებინათ. თუ აქვთ გეგმა, მაშინ წარმოადგინონ.

**— რატომ მხოლოდ ზოგად განცხადებებს? მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ქვეყანაში პრეპარატ „ტამიფლუს" საკმარისი მარაგია.**

— ჯერ ერთი, მარტო „ტამიფლუ" ხომ არ არის საქმე?! ვირუსთან საბრძოლველად საჭიროა გადასხმები, სხვა პრეპარატები, ექიმების შესაბამისი მომზადება და კიდევ ბევრი რამ. მეორეც — ქვეყანას „ტამიფლუს" საკმარისი მარაგი არ აქვს.

**— დარწმუნებული ხართ?**

— ეს ასეა. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გაჩნდეს დეფიციტი და მერე რას შვრებიან? სხვა საკითხია მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა. ყველას შეუძლია პრეპარატის ყიდვა? ან რა ეღირება ვირუსის გავრცელების შემთხვევაში პრეპარატი?

**— ანუ თქვენ მიიჩნევთ, რომ „ტამიფლუს" მარაგი თავად სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს და მხოლოდ დისტრიბუტორების იმედად არ უნდა იყოს?**

— რა თქმა უნდა. არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი ოცნებობს კიდეც, რომ ვირუსი ფართო მასშტაბით გავრცელდეს, რათა მერე პრეპარატი სამმაგ და ოთხმაგ ფასში გაყიდოს. და ვინ იყიდის მერე ამ პრეპარატს? სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს კონკრეტული გეგმა, რომელიც „ტამიფლუს" უფასოდ დარიგებასაც კი ითვალისწინებს. ისიც დეტალურად უნდა იყოს გაწერილი, თუ დეფიციტის შემთხვევაში, საიდან და რა გზებით მივიღებთ ამ პრეპარატს. უყურადღებობა, შესაძლოა, ძვირად დაგვიჯდეს და ამის კარგი მაგალითი უკრაინაა.

„მედიანიუსი".

ინფორმაცია

## მოლაპარაკებას ბათუმში გასეირნება ამჯობინეს

**ბელორუსმა** დეპუტატებმა საქართველოში ვიზიტის პროგრამა შეცვალეს. როგორც ცნობილი გახდა საქართველოს ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელთან დაგეგმილი შეხვედრები გადაიდო.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თემურ იაკობაშვილის განმარტებით, ამის მიზეზი ის გახდა, რომ სტუმრებმა „ბათუმში წასვლა მოინდომეს".

რაც შეეხება ზოგადად საქართველოში მათ ვიზიტს, იაკობაშვილის განმარტებით, მნიშვნელოვანია იმ კონტექსტში რომ ისინი თავად დაინახავენ არსებულ რეალობას და პირველი პირებისგან მოისმენენ იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც რუსეთის ქმედებებს ახლავს.

— ბელორუსის წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან სერიოზული ზეწოლა ხორციელდება, იმისათვის, რომ ამ ქვეყანამ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა აღიაროს. ბელორუსია ცდილობს დიპლომატიური მანევრები განახორციელოს, რათა მძიმე გადაწყვეტილების მიღება არ მოუწიოს. ყველას უნდა ესმოდეს, რომ კონფლიქტური რეგიონების აღიარების გადაწყვეტილება ამ ქვეყანას ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობაში ხელს შეუშლის, რაც ევროკავშირმაც დაადასტურა, — განაცხადა იაკობაშვილმა.

## შეხვედრა გაუქმდა

**რეინტეგრაციის** საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თემურ იაკობაშვილისა და ბელორუსის ეროვნული კრების წარმომადგენლობითი პალატის საგარეო ურთიერთობათა და დსთ-ს საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის სერგეი მასკევიჩის შეხვედრა არ შედგება. აღნიშნული შეხვედრა გუშინ უნდა გამართულიყო.

ჯი-ეიჩ-ენი

პარლამენტში

# ზვიად გამსახურდია მოკლულია?

## რა გზას დაადგა საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების შემსწავლელი საპარლამენტო კომისია

**კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია გადეპუტატდა. ამ პროცესს იმდენი ვნებათაღელვა უძღვოდა წინ, რომ გახსენება არ გვინდა. ხელისუფლებამ უარა, უარა და ბოლოს კოკოს „გულის გასაღებსაც" მიაგნო. პრინციპში, უარის თქმა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელ კომისიის წევრობაზე, მისი მხრიდან დიდი „უტაქტობა" იქნებოდა. დასთანხმდა, მაგრამ კომისიის შემადგენლობას თუ გადავხედავთ, მაინცდამაინც იმედების დამყარება ამ კომისიაზე არ შეიძლება. რამდენად შეიტანს სიცხადეს კომისიის მუშაობაში ბევრი მათგანი, ძნელი სათქმელია.**

გუშინ კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. სანამ კოკო გამსახურდია პირობებს წამოაყენებდა, იქამდე ითხოვა ერთ-ერთმა წევრმა ბეჟან ხურციძემ კომისიისთვის საგამოძიებო სტატუსის მინიჭება, მაგრამ ამაზე თანხმობა ვერ მიიღო. ამის შემდეგ ეჭვი გამოითქვა, რომ კოკო გამსახურდია გაზრახებოდა და პარლამენტს პროტესტის ნიშნად დატოვებდა. რაზეც მან მოკლედ და კონკრეტულად უპასუხა — არა!

ვერსიების დონეზე ბატონ კოკოს აქამდეც ჰქონდა მყარი ეჭვი, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს. ვინ უნდა დაკითხოს კომისიამ? — ისევ ის უბრალო მოქალაქეები და გლეხები, რომლებიც თითქოს რაღაცას ჰყვებიან, მაგრამ ვერც ჰყვებიან?! მათი ჩვენებები მხოლოდ იმის საფუძველს იძლევა, რომ შევარდნაძის მთავრობის მაღალჩინოსნები დაიკითხონ. მაშინდელი უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე კი არათუ კომისიისთვის, არამედ კიდევ უფრო მაღალი რანგის მოხელეებისთვის მიუწვდომელია. მისი მოადგილე — თამაზ ნინუა? ის ქილერმა სიცოცხლეს წინა კვირას გამოასალმა. თუკი კომისიას საგამოძიებო სტატუსი არ მიენიჭა, ყველაფერი კვლავ ვარაუდის დონეზე დარჩება და ისტორიული სიმართლე ბურუსით მოცული იქნება.

ამის მიუხედავად პირველი, რაც კოკო გამსახურდიამ გააკეთა ისაა, რომ კომისიას ურჩია, საქართველოს პროკურატურის არქივიდან გამოითხოვონ მასალები, რადგან ეს სტრუქტურა 2003 წლიდან მუშაობდა ამ საკითხზე და რაღაც შედეგსაც მიაღწია. ეს შედეგები კი საზოგადოებისთვის უცნობია. და მეორე, კოკო გამსახურდიამ პარტია „თავისუფლების" დოკუმენტური ფილმი „დინების საწინააღმდეგოდ" კომისიის წევრებს წარუდგინა. ფილმში მოყვანილია 1993 წლის 26 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე მოპოვებული ფაქტობრივი მასალა. კომისიის წევრებს ფილმი აქამდე არ უნახავთ, თუმცა მისი პრეზენტაცია 2007 წელს ტელეიმედში მოხდა.



**ეს ფილმი დაგვეხმარება მიმართულების განსაზღვრაში,** — აღნიშნა კომისიის ხელმძღვანელმა.

**დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ პრეზიდენტი მოკლულია. ვნახოთ, რა გზას დაადგება კომისია, მოითხოვს თუ არა კვლავ საგამოძიებო სტატუსს, თუმცა კოკო გამსახურდიას თქმით, მას ამ ფორმითაც სავსებით შესაძლებლად მიაჩნია მუშაობა და სტატუსი სულაც არ უქმნის დისკომფორტს.**

თეა მოსია

სახალხო დამცველი

# საზოგადოებრივი მაუწყებლის დაკარგული მილიონების დაბრუნებას ითხოვენ



**საქართველოს სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა გუშინ საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსებასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა. სახალხო დამცველი ფიქრობს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდისა და მაუწყებლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დაფინანსების ფორმის შენარჩუნება.**

მაუწყებლის შესახებ კანონის გარდამავალი და დასკვნითი დებულებების 21-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ 2006 წლის 1 იანვრიდან ამ კანონის 33-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების ამოქმედებამდე ტელევიზიის დაფინანსების ძირითად წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს. დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების არანაკლებ 0,15 პროცენტით. აქედან გამომდინარე, მაუწყებელი არ იყო ტიპური საბიუჯეტო ორგანიზაცია და მისი ბიუჯეტი არ გადიოდა საბიუჯეტო პროცესს. ეს ფაქტი კი რა თქმა უნდა, ტელევიზიის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტიაა.

2008 წლის 21 მარტს კანონში შეტანილი ცვლილებებით დადგინდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების ძირითადი წყარო სახელმწიფო ბიუჯეტია. სახალხო დამცველისა და ექსპერტების აზრით, ამით მნიშვნელოვნად შეიზღუდა მაუწყებლის დამოუკიდებლობა და ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტს საშუალება მიეცა შეემცირებინა მაუწყებლის ბიუჯეტი. 2010 წლის ბიუჯეტში, რომელიც ახლა იხილება, მაუწყებლის ბიუჯეტი 22 მილიონი ლარია, როცა ისინი ძველი წესით დაფინანსების შემთხვევაში 28,5 მილიონ ლარს მიიღებდნენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ჩანაწერი კანონში ცვლილებამდე იყო — ყოველი შემდეგი წლის ბიუჯეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინა წლის ბიუჯეტზე ნაკლები. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. სახალხო დამცველის მოთხოვნას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც უჭერს მხარს და მიესალმება ძველი წესით დაფინანსებას.

**გიორგი ტუღუში, სახალხო დამცველი:** „ამჟამად მსოფლიოში აქტუალურია ანალოგიური მაუწყებლობიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი. ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასვლის ბოლო ვადა 2009 წლის 17 თებერვალი იყო და ეს პროცესი წარმატებით დასრულდა. ანალოგიურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა მაუწყებლობისთვის საჭირო ტექნიკის გადაიარაღებას მოითხოვს. ტექნიკური განახლება განსაკუთრებით დიდი რაოდენობის თანხას მოითხოვს, ასეთ დროს ფინანსების შეზღუდვა პრობლემების წინაშე დააყენებს საზოგადოებრივ მაუწყებელს. საჭიროა ამ საკითხის დეტალურად გაანალიზება და შესაბამისი თანხების, ისევე, როგორც ამ პროცესზე მომუშავე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.

ხატია მუსერიძე

სიკეთის წვიმად მოსული

# ჭაბუა ამირეჯიბი: „ადამიანი მხოლოდ მაშინ წავა ამქვეყნიდან, როდესაც აღარაფერი ექნება სათქმელი თავის ხალხისთვის“...

## თქვენ ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ სათქმელი

**მადლობა, ბატონო ჭაბუა!**

დიდი ქართველი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება და მოღვაწეობა ბრწყინვალე მაგალითია იმისა თუ როგორ უნდა ემსახურო შენს სამშობლოს, მშობელ ხალხს და ხელოვნებას.

დაახლოებით 20 წელი გაუძლო დაუნდობელი სისტემის ბრჭყალებს. ციხე, გადასახლება, ტანჯვა, წამება, გაუგონარი გამბედაობა, რამდენიმე გაქცევა ამ ჯოჯოხეთიდან და მაინც შეინარჩუნა სიყვარული ადამიანისადმი, სამშობლოსადმი, შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის შედევრები.

ამაზე დიდი ბედნიერება თუ შეიძლება შეხვდეს რეჟისორს, რაც მე მხვდა წილად და მარგუნა ღმერთმა, რომ გადამეღო მრავალსერიანი ფილმი მისი უკვდავი „დათა თუთაშხიას“ მიხედვით.

ჭაბუა ამირეჯიბმა ისეთი გალერეა შექმნა ბრწყინვალე სახეებისა, რომ ისინი თითქოს თვითონ პოულობდნენ ადეკვატურ შემსრულებლებს.

სამი წელი, რომლის განმავლობაშიც ჩვენ ვმუშაობდით ამ ფილმზე, უბედნიერესი წლები იყო ჩვენს ცხოვრებაში, დამდგმელი ჯგუფის და მსახიობებისათვის.

მადლობა ბატონო ჭაბუა, რომ ეს ბედნიერება გვარგუნე.

მადლობა რომ საშუალება მოგვეცით, ვიცხოვროთ თქვენს გვერდით.

ვბედავ გაგახსენოთ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ თვითონ გაქვთ ნათქვამი გენიალური სიტყვები: „ადამიანი მხოლოდ მაშინ წავა ამქვეყნიდან, როდესაც აღარაფერი ექნება სათქმელი თავისი ხალხისთვის“.

თქვენ ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ სათქმელი თქვენი ხალხისთვის.

ამიტომ გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას.

თქვენი უმცროსი ძმა და მეგობარი, 82 წლის

**გიგა ლორთქიფანიძე**



## მეამაყება, რომ ვარ თქვენი თანამედროვე

**ბატონო ჭაბუა,**

ქართველი ერი მართლაც ბედნიერი ერია, რადგან ჩვენ კარგად ვიცით, რას ნიშნავს რაინდული სული, მეგობრობა, ერთმანეთის გატანა და ერთმანეთის სიყვარული. საქართველო არის ქვეყანა, სადაც ამ ფასეულობებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და საბედნიეროდ ჩვენს გვერდით, ყოველთვის არიან პიროვნებები, რომლებიც ღირსეულად ცხოვრების მაგალითს გვაძლევენ.

სწორედ ასეთი პიროვნება ბრძანდებით თქვენ თვითოეული ქართველისთვის, სრულიად საქართველოსთვის, მისაბაძი თქვენი განვლილი ცხოვრებითა და შემოქმედებით.

თქვენ გაქვთ კიდევ ერთი გამორჩეული თვისება. ეს არის უბერებელი სული და ახალგაზრდული შემართება.

გულწრფელ მადლობას გიხდით ფონდ „იავნანას“ თანადგომისთვის. თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი, ვინც მთელ საქართველოს მოუწოდეთ გაერთიანებულიყვნენ სიკეთის გარშემო და დახმარებოდნენ მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

თქვენ ნამდვილად ქართული მწერლობის პატრიარქი და ყველა ჩვენგანისთვის უსაყვარლესი პიროვნება ბრძანდებით, ვის ეპოქაშიც ცხოვრება ნამდვილად დიდი პატივია ნებისმიერი ქართველისთვის.

მეამაყება, რომ ვარ თქვენი თანამედროვე და მაქვს პატივი კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი პატივისცემა და გულითადად მოგილოცოთ დაბადების დღე. გისურვოთ ჯანმრთელობა, მხნეობა და დიდხანს სიცოცხლე.

ულრმესი პატივისცემით, თქვენი

**პაატა ბურჭულაძე**

18 ნოემბერი 2009 წელი. ქ. ბარსელონა

ოპოზიცია

# ის, რაც დავითაშვილს კარგად ახსოვს, მიშას დაავიწყდა




## „თუ ხალხს არ მოხმარდა, რა საჭიროა ბიუჯეტი?!“

*ყოფილი თანამებრძოლისა და ერთგული მეგობრის მიხეილ სააკაშვილის ოინებს კობა დავითაშვილმა კარგად აუღო ალღო. ამიტომაც თადარიგი დაიჭირა და ჯერ ისევ არ დაუნიშნავი ადგილობრივი არჩევნებისთვის პოლიტიკური ქულების დაგროვება აქედანვე დაიწყო. ისევ პენსიებით და ისევ პენსიონერებით მანიპულირება – ეს თითქოს თანამდევი აუცილებელი ხაზი გახდა ხელისუფლებაში მოსასვლელად მობილიზებული პოლიტიკოსებისთვის. ექვსი წლის წინათ ამ ფანდმა კარგად იმუშავა და ნაციონალების რეიტინგი სწორედ პენსიონერთა მრავალრიცხოვანმა ფენამ განაპირობა. მაგრამ მაშინ კარგად მუშაობდა შევარდნაძის „აქილევსის ქუსლი“ – გაყინული პენსია, ახლა კი ხუთი ლარის გულისთვის გამოვა თუ არა პენსიონერი ქუჩაში – საკითხავია, მით უფრო, რომ თავის ანგარიშზე ჩარიცხული 80 ლარი ეგულება.*

*ვფიქრობ, დავითაშვილს გაუჭირდება, თუმცა თვითონ მაინც ბედავს ერთხელ შესულ მდინარეში კვლავ შესვლას და არად აგდებს იმას, რომ მაშინ დახრჩობას ბეწვზე გადაურჩა. ახლაც ჰგონია, რომ მერობის კანდიდატობისთვის ბრძოლა დამარცხებისთვის არის განწირული, მაგრამ წაგებული თამაშით თამაშობს და ბედს არ ეპუება.*

**– ბატონო კობა, პენსიების თემით მანიპულაციამ „ვარდების რევოლუციამდეც“ საკმაოდ დიდი პოპულარობა მოგიტანათ. დღესაც პენსიონერების გულის მოგებით იწყებთ გააქტიურებას. მაშინ თქვენმა აქტიურობამ გაქრა, ამიტომაც, გკითხავთ, რა ხდება, ეს იქნებ თქვენთვის ერთგვარი ტრამპლინია?**

– არა, ეს არ არის ტრამპლინი, არამედ ვალდებულებაა. მე ხალხმა ამის გამო ამირჩია თავის დროზე. ნაციონალური მოძრაობა მოვიდა პროგრამით, რომელსაც ერქვა „ხელშეკრულება საქართველოსთან“. მახსოვს, რომ მაშინ სააკაშვილი ხალხს დაჰპირდა ანაბრების დაბრუნებას, მცირე მეწარმეების ორი წლით გადასახადებისგან გათავისუფლებას და პენსიებს – სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. სააკაშვილთან ერთად მეც დავპირდი, მაგრამ ბატონმა სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ყველა ეს დაპირება დაივიწყა.

მეტიც, ახალმა ხელისუფლებამ 2003 წლის დეკემბერში სასამართლოში გაასაჩივრა და პენსიონერებს არ უხდიდა „გაყინულ პენსიებს“. როდესაც სააკაშვილის მთავრობამ ნაციონალების მოგებული პროცესი გაასაჩივრა, მე და ზვიად ძიძიგურს დიდი ბრძოლა დაგვჭირდა იმისთვის, რომ სასამართლოს მოგებული ფული პენსიონერებს მიეღოთ.

არც სტაჟისა და დამსახურების მიხედვით უნდოდათ პენსიის გაცემა და მხოლოდ 2006 წელს, წინასაარჩევნოდ, ადგილობრივი არჩევნების წაგების შიშით დათანხმდნენ ამ პირობას. ისიც მხოლოდ თბილისში, ანუ სრულად მაინც არ დაკმაყოფილდა.

იხ. 7 გვ.

## „ჰეფი ენდი“ ნაციონალურად

*ხელისუფლება ისევ ძველებურად კეკლუცობს – ჯერ იყო და, გულაჩუყებულმა პრეზიდენტმა ახალციხიდან გვამცნო – ღამეები არ მძინავს, თითოეული თქვენგანის დასაქმებაზე ვდარდობ და გული მიჩხვლეტავსო, მერე კი ბეჯითი მოწაფეებივით ჩამწკრივებული მინისტრებიანად კახეთში გედების ტბასთან მოგვევლინა – ჩემს მინისტრებს გონება გაეხსნებათ და ხალხზე უკეთ იზრუნებენო. დამტკბარ-დაშაქრული ჩანდა პრეზიდენტი – მოლოდინი იმისა, რომ ნოემბერში ახალი მთავრობა გვეყოლებოდა თავისი პრემიერიანად, არ გამართლდა. როგორც ჩანს, ხელისუფლებას თავი ქუდში აქვს და ოპოზიციის მიკნავლებული საშვიდნოემბრო პროტესტის ფონზე, ხალხის დასაშოშმინებლად ე. წ. მორიგი ბლეფ-კარუსელის დატრიალება აღარ დასჭირდა. ამჯერად ჯოხი ისევ უბრალო ხალხზე გადატეხეს და სამსახურებში ე. წ. რეორგანიზაციების შედეგად, თავად მინისტრებმა დრო იხელთეს და მათთვის არასასურველი თანამშრომლები მოიშორეს, თვითონ კი თავისიანად წოდებულ „კასტაში“ „მოიზღუდეს თავი მტკიცედ“ და რბილი სავარძლები საიმედოდ გაიმაგრეს. თუმცა, ეს ცალკე წერილის თემაა და აუცილებლად სხვა დროს განვავრცობ.*

# პოლიტიკური „სნიკერსი“... მზესუმზირით

მინდოდა მეთქვა, რომ გედები და ულამაზესი ტბის სანაპირო ისე უშველის დისკრედიტებულ ხელისუფლებას, როგორც ახალგაზრდობის ელექსირი – იულონ მინისტრთუხუცესს. და რაკი თავადაც ხვდება რომ ვერ უშველის, იქნებ ამაღაც არის გამწარებული? როგორც გავიგეთ, ვითომდა რეორგანიზაციის მომიზეზებით კვალიფიციურ ახალგაზრდებს ათავისუფლებს!

ეს არის პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ინიციატივის მხარდაჭერა?!

მართალია ჩვენი ნაციონალი მინისტრები არც „არაგველობასა“ და „შატილობას“ აკლდებიან, ხინკლისა თუ მწვადის ზეიმებშიც თავს იწონებენ, მაგრამ – მხოლოდ მოჩვენებითად. ისინიც ისეთივე ფასადურები არიან, როგორც გარედან შეღებილი სახლები და ვითომ დაგებული ასფალტები... ზაფხულში თბილისში ვერაზე შანიძის ქუჩის ეზოებში მათმა დაგებულმა ასფალტმა ისე გააწამა ხალხი, ჯობდა, საერთოდ არ მისულიყვნენ. უხარისხო ასფალტი რამდენიმე დღეში ხრეშად იქცა და აიყარა. ეს მტვერი კი ყოველდღე საცხოვრებელ ბინებში შედის... აი, ასეთი ვითომ საჩუქარი მიართვა მერიამ ვერელებს... აი, ასეთია ხალხზე ზრუნვა ნაციონალურად.

ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალე – ესა თუ ის სანახაობა თუ შიშველ პათეტიკაზე ქვეყნის შენება, ემსახურება ხალხის პროტესტის მინავლებას და სხვა თემაზე ყურადღების გადატანას, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოსდა ქვეყანაში ყველაფერი რიგზეა – არც ხალხს უჭირს, არც მიგრაციაა, სამუშაო ადგილები თავზე საყრელია და მილიონი ალისფერი ვარდივით ბრწყინავს საქართველო.

ამ ფონზე თვალში საცემია ოპოზიციის უუნარობა, დეკლარაციებითა და კონცეფციებით შემოფარგვლა. თითქოსდა, ისინი უარს ამბობენ ემოციებსა და რაციონალიზმს უბრუნდებიან, მაგრამ მანიფესტაციები და ტრაქტატები გამოსავალი არ არის. ოპოზიციამ ვერა და ვერ გამოკვეთა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მთავარი მიზანი. გამუდმებით იმაზე ლაპარაკი, რომ მათი სტრატეგია იგივე რჩება, მხოლოდ ტაქტიკას ცვლიან და ხელისუფლების წინააღმდეგ სხვადასხვა გზით იბრძოლებენ, ლაპარაკია და სხვა არაფერი. ვეთანხმები ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, რომ მათი მიზანი ხელისუფლებაში მოსვლა კი არა, წყობილების შეცვლა უნდა იყოს.

არც ის აზრია სიმართლეს მოკლებული, რომ ოპოზიციას ყალბი ერთობის ნაცვლად ისეთი პიროვნებები სჭირდებიან, რომელთაც ზუსტად იციან, რა და როგორ არის ეტაპობრივად გასაკეთებელი. ჩემთვის პირადად წარმოუდგენელია, როგორღა აპირებს პარლამენტიდან ბრძოლის გაგრძელებას კოკო გამსახურდია. ალბათ, მასაც ქრისტიან-დემოკრატების ბედი მოელის – პარლამენტარის სავარძელში მჯდომი ვითომ ოპოზიციონერად გადაიქცევა, სინამდვილეში კი „თავისუფლების“ ლიდერიც პრეზიდენტის იმიჯის ერთ-ერთ შემქმნელად მოგვევლინება. ამასობაში დრო გავა და ან შეისწავლიან პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზებს, ან – ვერა, ხელისუფლება კი არსებობას გაიხანგრძლივებს. ასე რომ, ჩვენი კოკო, ერთი სატელევიზიო რეკლამის მსგავსად, ისე დაამშვენებს ნაციონალების პარლამენტს, როგორც მზესუმზირა- სნიკერსს.

ამასობაში გიორგობა და „ვარდების რევოლუციის“ 6 წელი გვიახლოვდება. წინ მრავალი შოუ, ზამთარი და ათასი თავსატეხი გველის. არ არის გამორიცხული, ანცმა მიშიკომ მთავრობის სხდომა ყინულის მოედანზე გამართოს და ჩვენს ყურმოჭრილ მინისტრებს ციგურებით ბალეტი აცეკვოს, ამით კი ნახევრად მშიერ, ღორის გრიპთან მებრძოლ ქანცგაწყვეტილ ხალხს ახალი პიარსანახაობა აჩუქოს.

ხუმრობა იქით იყოს და... ვინ იცის, იქნებ ყინულზე მოცეკვავე წარმატებულ მინისტრებზეც გამოაცხონ „ჰოლივუდში“ რაიმე ფილმი „ჰეფი ენდით“. დიახ, „ჰეფი ენდით“, რადგან საქართველო ერთადერთი და განუმეორებელი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც მოწინავე ეკონომიკა, გაბადრული მინისტრები, თვითკმაყოფილი ოპოზიცია და ბედნიერი ხალხი ჰყავს!..

**ნატა ნიბლაძე**

კერძო აზრი

# ლამაზად შეფუთულს და „გაპიარებულს“ იმასაც ადვილად „გვაჭმევენ“, რის გასაღებასაც ოქრუაშვილი რუსეთში ფიქრობდა



## ტალიავინის „დამოუკიდებელი“ კომისიის, „აგვისტოს ომის“ და დაკარგული მიწების თაობაზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 232-233.

ჩემს მიერ ტალიავინის კომისიის კრიტიკა და საქართველოს ინტერესების დაცვა ვინმეს სააკაშვილის დაცვადაც რომ არ მოეჩვენოს, როგორც ეს ნოდარ ნათაძის შემთხვევაში იყო (საკანში სტუმრობისას, როდესაც მან, პირველმა ოპოზიციაში, გარკვევით მიუთითა კომისიის შეუსაბამო დასკვნებზეძ, ვიტყვი შემდეგს:

სააკაშვილის დანაშაული ომის წამოწყება კი არ არის, მისი დანაშაული მარცხისთვის წინასწარ განწირული ომის წამოწყება, და ამ ომში უშუალოდ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ქართული მოსახლეობის მიმართ ჩადენილი მიუტევებელი ვერაგობაა.

გავიმეორებ ადრე ნათქვამს: სისხლით წართმეულს მოლაპარაკებების გზით არავინ აბრუნებს. ეს აქსიომაა და ამის თაობაზე მშვენივრად მოეხსენებათ ფუჭი ლაყბობის ინიციატორებს. მსგავსი პრეცედენტი კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო! სისხლით და ომით წართმეულს მოლაპარაკებების მაგიდასთან „ბორჯომის“ სმით არავინ აბრუნებს, გინდა მეოცე საუკუნეზე მოახდინე აპელირება და გინდა ოცდამეერთეზე. ერთი კენიგსბერგი დაუბრუნა გერმანელებს რუსეთმა და კურილები კიდევ – იაპონიას, ან ბესარაბია და ჩრდილო ბუკოვინა – რუმინეთს. მოლაპარაკებები მხოლოდ დროის გაყვანას და სხვათა ინტერესების თანამიმდევრულად გატარებას ემსახურება. ასე რომ, სამშობლოს დაცვა, გვაწყობს თუ არ გვაწყობს, სამწუხაროდ, მხოლოდ სიცოცხლის ფასად შეიძლება! მაგრამ როცა საკუთარი და მოწინააღმდეგის ძალების ობიექტურ შეფასებას ვერ (თუ არძ ახდენ და უაზრო ომში რგავ თავს, რომელშიც დღენახევარში (!ძ სამარცხვინო დამარცხებასთან და უსიტყვო კაპიტულაციასთან ერთად შენზე მონდობილი ასზე მეტი ქართული სოფლის მშვიდობიან მოსახლეობას გასწირავ (ტყუილი ინფორმაციის მიწოდებით ქართული შენაერთების მიერ მთელი ე.წ. სამხრეთ ოსეთის გაკონტროლების თაობაზეძ და მათ გამძვინვარებულ ოს-ჩეჩენ-კაზაკების ბანდებს შეატოვებ საწამებლად, დასახვრეტად და გასაუპატიურებლად, ესაა თუა ყველაზე მიუტევებელი დანაშაული სააკაშვილისა, რომელსაც ვერ გადაწონის ვერც ერთი ადრე ჩადენილი, ერთად აღებულიც კი, და მისთვის პასუხის არმოთხოვნა, ასეთი სივერაგის შერჩენა, ჩვენი ყველაზე დიდი სირცხვილი იქნება.

საკუთრივ სამხედრო ოპერაციის წარუმატებლობა შეიძლება ვინმეს გადაბრალდეს, ომის ერთპიროვნულად (პარლამენტის უკითხავადძ წამოწყებაც მხოლოდ უფლებამოსილების გადამეტებად შეიძლება შეფასდეს, მაგრამ **პრეზიდენტის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის სასიკვდილოდ გამეტების (რაც უტყუარად დასტურდება პრეზიდენტის სატელევიზიო გამოსვლით 8 აგვისტოს) ახსნა მხოლოდ უჭკუობით არაფრით არ შეიძლება!** ნებისმიერი ომის ანბანური ჭეშმარიტებაა ის, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს მშვიდობიანი მოსახლეობის დროული გახიზვნა ომის სავარაუდო ზონიდან. ეს იცის ნებისმიერმა რიგითმა ადამიანმა, და როცა ამის გაკეთების ნაცვლად პრეზიდენტი, პირიქით, უნამუსოდ ატყუებს მასზედ მინდობილ ხალხს, იქ უკვე არავითარი გამამართლებელი არგუმენტი არ შეიძლება არსებობდეს. სულ ტყუილი თავის მართლებაა, თითქოს რუსეთის მხრიდან არ ველოდით შემოტევას (მარტო ოსები კი ვერას დაგვაკლებდნენოძ. ტყუილია, რადგანაც გახიზვნა უნდა მომხდარიყო რუსეთის არჩარევის შემთხვევაშიც და, მით უმეტეს მაშინ, როცა არავისთვის დამალული არ იყო რუსეთის გეგმები და გატარებული წინასაომარი ღონისძიებები (34 ათასი მშვიდობიანი ოსის გადაყვანა ჩრდილო ოსეთში, სამხედრო ძალების და ტექნიკის თავმოყრა უშუალოდ ჩვენს საზღვართან – როკის გვირაბთან და რუსი პოლიტიკოსების აგრესიული განცხადებები ჩვენი ქალაქების უეჭველად დაბომბვის თაობაზეძ. ვიმეორებ, **ეს არ იყო უცოდინარობით დაშვებული შეცდომა, ეს იყო შეგნებულად ჩადენილი დანაშაული საკუთარი ერის წინაშე!** თუნდაც შეუგნებლად ყოფილიყოს დაშვებული იგი, ამგვარი წინდაუხედაობისთვის პასუხი უმკაცრესად უნდა მოეთხოვოს პრეზიდენტს, ხანდაზმულობის ვადა ასეთ ღალატს არა აქვს!

რაც შეეხება უშუალოდ წამოწყებულ სამხედრო ოპერაციას – ვერ გვიშველა მეთიუ ბრაიზას, კონდოლიზა რაისის, ბაროზოს და სოლანას და, თურმე, ვერც ნატოს შეგონებებმა, თავი შეგვეკავებინა ამ ავანტიურისგან – ყველას რჩევა ერთ ყურში შეუშვია და მეორეში გამოუშვია ჩვენს (ვისიც არისძ პრეზიდენტს. სხვათა შორის, ბევრ ექსპერტ-პოლიტოლოგსაც სჯერა ამ ზღაპრების, თითქოს პრეზიდენტი სულ თავის ჭკუაზე დადიოდეს და აინუნშიაც არ აგდებდეს მისი საპრეზიდენტო სავარძელში დამსმელების (და გაყალბებული არჩევნების შემდეგ ხელმეორედ დამტოვებლებისძ, მისი მამა-მარჩენლების აზრს. უშუალოდ ოპერაციის წარმართვას რაც შეეხება: ვერ გვიშველა ვერც ისრაელიდან მოვლენილმა გენერალმა და ვერც 150 ამერიკელმა სამხედრო მრჩეველმა (რომელთა საქართველოში ყოფნის მიზანი, გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა, თვით ტალიავინის დამოუკიდებელი(!ძ კომისიისთვისაც კი გაურკვეველი დარჩა!ძ. სამხედრო შეტევა უპირველესად უნდა განხორციელებულიყო როკის გვირაბის მიმართულებით, მით უფრო, რომ ცნობილი იყო რუსული ტანკების თავმოყრის თაობაზე გვირაბის ჩრდილოეთ შემოსასვლელთან. ამ შეტევის აუცილებლობა ისეთივე ცხადი იყო ნებისმიერი არასამხედროსთვის, როგორც ზემოთ ნახსენები ევაკუაციის საჭიროება. მაგრამ არც ეს გაკეთდა, ისევ არა უჭკუობით, არამედ შეგნებულად(!ძ, რათა დღენახევარში იარაღი დაგვეყარა და ხუთ დღეში კაპიტულაციისთვის მოგვეწერა ხელი. ამასთან დაკავშირებით ერთი გასული საუკუნის 60-იანი წლების დროინდელი ანეკდოტი მახსენდება: „ქართველები დამოუკიდებლობის სათხოვნელად მივიდნენ ხრუშჩოვთან, რაზედაც გენსეკისგან არგუმენტირებული უარი მიიღეს: რად გინდათ ეს დამოუკიდებლობა, თურქეთი და ირანი ისევ დაგიპყრობთო. მაშინ, ერთი დღით მაინც გვიბოძეთ დამოუკიდებლობაო, სთხოვეს ქართველებმა. ერთი დღის თავისუფლება რას მოგცემთო, გაუკვირდა ხრუშჩოვს. რა და, ამერიკას ომს გამოვუცხადებთ და მეორე დღესვე დავნებდებითო“ (მაშინ ამერიკის რეპუტაცია შეუდარებლად მაღალი იყო მთელ მსოფლიოში და არც მსოფლიო ჟანდარმად იწოდებოდა!ძ. ამერიკამ სააკაშვილის ხელით ხორცი შეასხა ამ ანეკდოტს 2008-ში, ოღონდ პირუკუ აგვაგდო!

ანეკდოტებს შევეშვათ და ამერიკაში ძალზე გავრცელებულ ე.წ. სცენარებზე გადავიდეთ, როდესაც სხვადასხვა შესაძლებელ ვარიანტს იხილავენ. ამ მეთოდს დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს ნებისმიერ სფეროში – ბიზნესი იქნება თუ სამხედრო საქმე. იგი ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ გეომეტრიაში გავრცელებული თეორემების დასამტკიცებლად გამოყენებულ ხერხს, რომელიც ასე იწყება: დავუშვათ, რომ...

მოდით, ჩვენც დავუშვათ ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტი, რომ მთავარსარდალმა ყველაფერი სწორად გათვალა, მიაღწია რუსი „სამშვიდობოების“ გაყვანას და მრავალწლიანი უნაყოფო მოლაპარაკებების შემდეგ პარლამენტის თანხმობით წამოიწყო საომარი მოქმედებები ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, თანაც ისე, რომ არც ცხინვალი დაბომბა ღამით „გრადებით“, ქართული მშვიდობიანი მოსახლეობაც წინასწარ გამოხიზნა, გეზი პირდაპირ როკის გვირაბზე აიღო და იმავე დღესვე დაამყარა მასზე კონტროლი (საერთოდ გამოიყვანა მწყობრიდანძ. ერთი სიტყვით, იურიდიულად, პოლიტიკურად, მორალურად და სამხედრო თვალსაზრისითაც გამართლებული ნაბიჯები გადადგა. დარწმუნებული ვარ, რუსეთი „თავისი“ მოქალაქეების დაცვის მომიზეზებით მაინც განახორციელებდა აგრესიას, მაგრამ მას საკმაოდ გაუჭირდებოდა პოლიტიკურად თავისი ქმედების გამართლება და გაუჭირდებოდა სამხედრო თვალსაზრისითაც. უდავოდ გაუჭირდებოდა, მაგრამ არც ისე, ზოგს რომ ჰგონია. ჩვენს დამარცხებას მაინც რამდენიმე დღე დასჭირდებოდა მხოლოდ, სულ „უბრალო“ მიზეზის გამო. ჩვენი თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ბაქიბუქის მიუხედავად, ჩიტი ვერ გადმოფრინდებაო, როგორც ომის მეორე დღესვე გაირკვა და უცხოელი ექსპერტ-მიმომხილველების მიერაც გახმიანდა პრესის ფურცლებზე, თურმე **საქართველოს არ ჰქონია არც საჰაერო, არც საზღვაო და არც ტანკსაწინააღმდეგო ეფექტიანი თავდაცვა.** ამიტომ, ცხადია ცხინვალის რეგიონში მიღწეული სახმელეთო წარმატება გადაჭრიდა მხოლოდ ტანკსაწინაარმდეგო თავდაცვის პრობლემას, რაც ნამდვილად არ იქნებოდა საკმარისი იმავე რეგიონში ჰაერიდან, ხოლო დასავლეთ საქართველოში ზღვიდან, ხმელეთიდან და ჰაერიდან შემოჭრილი რუსის შესაჩერებლად. ამას არც კოდორის ხეობის არდათმობა უშველიდა. რუსეთი აბსოლუტურად დაუსჯელად, ანუ ყოველგვარი თავდაცვითი ზღუდეების დაძლევის გარეშე (რაც არ გაგვაჩნდა, იმას რა დაძლევა დასჭირდებოდა!ძ დაბომბავდა ჩვენს პორტებს, სამხედრო თუ სამოქალაქო ობიექტებს და ქალაქებს, თბილისის ჩათვლით. დაახლოებით ისევე, როგორც ეს ნატომ (იგივე ამერიკამძ გააკეთა 1999 წელს, როცა ბელგრადი დაბომბა, და იუგოსლავიაც იძულებული გახადა დანებებულიყო. **ამერიკა და რუსეთი, ორივენი არად დაგიდევენ საერთაშორისო კანონებს, მათი კანონი არის ძალა, და საქმესაც ისინი ერთმანეთში არჩევენ და არა ჩვენს დონეზე.** საერთაშორისო კანონებს ისინი მხოლოდ იმათ მიმართ იყენებენ, ვისი დასჯაც აქვთ გადაწყვეტილი.

სწორედ ამ თავდაცვის უქონლობის გამო იყო წინასწარ განწირული აგვისტოში უთავოდ წამოწყებული სამხედრო ოპერაცია, და არა იმიტომ, რომ რუსეთი დაგვიპირისპირდა. „თუ თავდაცვა არა, აბა, მაშ რა გვქონდა, მილიარდები სად წავიდა, მარტო ევროპულჩეჩმიანი ყაზარმების ასაშენებლად, კალაშნიკოვის ავტომატების ამერიკულით შესაცვლელად და მოძველებული რუსული (!ძ რადარების შესაძენად გადაიყარა ფული?“ (რომელიც მეორე დღესვე ჩაგვიხშოდაგვიბრმავა რუსეთმა და უსარგებლო რაკეტების ამარა დაგვტოვაძ – იკითხავს გამწარებული კაცი.

რატომ შევიძინეთ მოძველებული რუსული რადარები, რომელსაც პოტენციური მტერი ნებისმიერ დროს მწყობრიდან გამოიყვანდა? მარტო ფულის „მოტეხვა-ატკატებში“ არაა საქმე. აქ, პრინციპში, ისეთივე დანაშაულია ჩადენილი, როგორც რუსეთისთვის სტრატეგიული ობიექტების მიყიდვაა. ამიტომ მხოლოდ ფულის სიყვარულით ამას ვერ ავხსნით. კი მაგრამ, ამერიკა რას უყურებდა, რატომ გვეხმარებოდა, თუ კი ჩვენი ხელისუფლება მაინც რუსეთის საქმეს აკეთებდა? ან თავად ამერიკამ, რომელიც ისრაელს უახლესი თანამედროვე იარაღით ამარაგებს, ჩვენ, მისი ვითომდაც „სტრატეგიული პარტნიორი“ შედარებით მოძველებული იარაღით მაინც რატომ არ აღგვჭურვა, თავდაცვითი იარაღის შეძენა ხომ არავის აქვს აკრძალული (ახლა, სარკოზი-მედვედევის შეთანხმებით, მგონი, ესეც აგვეკრძალა, შეთანხმება ხომ დღემდე გასაიდუმლოებულია!ძ, თავდაცვითი შეიარაღება ეს ხომ პირველი მოთხოვნილებაა ყოველი ნორმალური სახელმწიფოსთვის. ახლა, დამარცხებიდან ერთი წლის შემდეგ რომ გაიძახის გიგა ბოკერია, „საქართველოს ლეგიტიმური უფლება აქვს ეფექტური თავდაცვის სისტემა ჰქონდესო“, დასაწყისში, როცა ჯარის „ამერიკული“ მშენებლობა იწყებოდა, მაშინ ამ უფლების თაობაზე არ იცოდა არაფერი, თუ თავდაცვა დამარცხების მერე გახდა საჭირო (როცა ამ თავდაცვამ ფაქტობრივად აზრიც კი დაკარგა – რუსის ჯარი ხომ უკვე საქართველოს შუაგულში და თბილისიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში დგასძ. უცნაურზე უცნაურად მოგეჩვენება კაცს ყველაფერი, რომ არა შემდეგი გარემოებანი:

ჯერ ერთი, ქართულ ჯარს 5 წლის განმავლობაში ამერიკა აშენებდა საკუთარი აღჭურვისა და წვრთნის პროგრამებით და შეიარაღებისთვის გამოყოფილ და სკრუპულოზურად გაწერილ ხარჯებში ამერიკის დასტურის გარეშე ვერავინ აფათურებდა ხელს. ჩვენს ნებაზე სოფლის მეურნეობაში ვერ ვდებდით მიღებულ სესხებს და როგორ გგონიათ, შეიარაღებაში ვიბაირამებდით? ჯიბეში ვინ რას იდებდა ესეც ჩვენზე უკეთ მოეხსენებოდა ამერიკას, მაგრამ აქაც წაყრუებას ამჯობინებდა. რა გამოდის, ნაჩუქარი თუ ნასესხები ფული, რომლის ყოველი დოლარი წინასწარ გაწერილია, იფლანგება უმისამართოდ (უფრო სწორად, სავსებით გარკვეული მისამართით!ძ და ამას ამერიკის მხრიდან არავითარი რეაგირება არ სდევს – ისევ ისე (ომის შემდეგ კი უფრო მეტადაც!ძ გრძელდება დახმარება. მართლაც რა ხდება, რა მიზნებს ისახავდა და ისახავს ქართული ჯარის ვითომ ამერიკულ ყაიდაზე მოწყობა? რას და, ჯარს ამზადებდნენ არა ამერიკულ ყაიდაზე, არამედ – ამერიკული პროგრამის, გეგმის მიხედვით, რაც სულ სხვა რამაა.

**იაკობ ლეჟავა.**

(გაგრძელება იქნება)

ინფორმაცია

# „ერთი პარტია – ერთი ხმა“



**ყოფილი** დეპუტატი ალექსანდრე შალამბერიძე ინიციატივით გამოდის, ცესკო დაკომპლექტდეს 7 წევრით, ის პარტიების წარმომადგენლებისაგან, რომლებმაც ბოლო არჩევნებზე საუკეთესო შედეგი აჩვენეს. შალამბერიძის თქმით, ყველა დონის საარჩევნო კომისიის წევრები უნდა დაინიშნონ პარიტეტულ საწყისებზე, პრინციპით “ერთი პარტია – ერთი ხმა”.

– თუ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი, კვლავ ნაციონალური მოძრაობის თავჯდომარის სასარგებლოდ დარჩა, გაიმარჯვებს სააკაშვილი, ვინაიდან დისკრიმინაციული და ცინიკური პრინციპი „მთავარია ვინ ატარებს არჩევნებს“, ძალაში დარჩება, – აღნიშნა შალამბერიძემ.

მისივე თქმით, პოლიტიკური ნების გამომხატველ პარტიებს სასტარტო პირობები თანაბარი უნდა ჰქონდეთ და რადგან პრეზიდენტი იმავდროულად ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეცაა, ანუ მიკერძოებული საკუთარი გუნდის მიმართ, ის ყოველთვის მისწრაფებული იქნება მისი პოლიტიკური ორგანიზაციის სასარგებლოდ დააკომპლექტოს საარჩევნო კომისიები.

*ХО-ЭОВ-ЭНО*

გლობუსი

# მშვიდობიანი თანაარსებობა ქვეყნის გადარჩენის გზაა

**აშშ-ის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა, საპრეზიდენტო მოღვაწეობის დასაწყისში დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონს, რაშიც ის არ შემცდარა. მოსახლეობის რაოდენობითა (70 პროცენტი)! და წიაღისეულით მდიდარი რეგიონი გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დაწყებული სწრაფი ტემპით ვითარდება. იაპონიის ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს მასშტაბები გაოცებას იწვევს მთელს მსოფლიოში, მაგრამ არა მარტო იაპონიაა გამორჩეული. თვალს ჭრის სამხრეთ კორეის, ტაილანდის, სინგაპურის, ფილიპინების, ჩინეთის, ინდოეთის წარმატება. მუშახელის უკიდეგანო რესურსი, შრომისმოყვარეობა, უზუსტესი მეცნიერებისადმი მიდრეკილება, დისციპლინა არის მთავარი ფუნდამენტი, რაზეც შენდება წარმატებული სავაჭრო და საბანკო სისტემა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მთლიანობაში ეკონომიკა. თვალსაჩინო მიღწევებისთვის რეგიონის ზოგიერთ ქვეყანას „ეკონომიკურ ვეფხვებად“ მოიხსენიებენ. ბოლო წლების განმავლობაში აქ ყველაზე გავლენიან ქვეყნად ჩინეთი გვევლინება. ეკონომიკური ზრდის ტემპით ჩინეთს ბადალი არ ჰყავს მსოფლიოში. ჩინური ფართო მოხმარების საქონელი კარგა ხანია წარმატებით ართმევს თავს ამერიკული და ევროპული ბაზრების კონკურენციას.**

ჩინეთს, ისე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკას, მძიმე დარტყმა მიაყენა ეკონომიკურ-საფინანსო კრიზისმა. მხოლოდ ესაა, აშშ-ში, რუსეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ტენდენციებმა იჩინეს თავი. ჩინეთმა გაცილებით ადრე დაიწყო გამოსწორება. დღეს ეკონომიკური განვითარების ცხრაპროცენტიანი მაჩვენებლით ის პირველია მსოფლიოში.

დააღწია თუ არა მსოფლიომ კრიზისს თავი, ძნელი სათქმელია. დიდი სახელმწიფოების ლიდერებს ეშინიათ ოპტიმისტური განცხადებების გაკეთება. ისინი თვლიან, რომ კრიზისი დასრულდა, თუმცა აღმავლობის მოკრძალებული მონაცემები აღტაცების საფუძველს არ იძლევა. ფრთხილია აშშ-ის პრეზიდენტის შეფასებებიც, რაც არ არის გასაკვირი. აშშ-ში, ოქტომბრის მონაცემებით, ბიუჯეტის სარეკორდო დეფიციტი – 176.4 მილიარდი დოლარია დაფიქსირებული.

აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკურ სამიტზე, რომელიც გასულ კვირას სინგაპურში გაიმართა, რუსეთის პრეზდენტმა მედვედევმა განაცხადა, რომ ჭარბ ოპტიმიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ანალოგიურია ობამას მოსაზრებაც. აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებები არა მარტო ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებული პრობლემებით იყო საინტერესო, არამედ მისი დაძლევის ამერიკული გზებით, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებთან სამომავლო თანამშრომლობით, ომისა და მშვიდობის საკითხებით, ჩინეთთან დამოკიდებულებით. ის, რომ ჩინეთის გაძლიერება ზოგიერთებს აშშ-ში ძილს უფრთხობს და არა მარტო ამერიკაში – არახალია. ამერიკელ ექსპერტთა აზრით ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი ჩინეთი დიდ მეტოქეობას გაუწევს აშშ-ს. ტოკიოში გამოსვლის დროს ობამამ განაცხადა, რომ აშშ ეჭვის ან შურის თვალით არ უნდა უყურებდეს ჩინეთს, რომ მას სურს საერთაშორისო სარბიელზე ძლიერი ჩინეთის ხილვა, მასთან პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების დიალოგის გზით გადაწყვეტა. თავის გამოსვლაში ობამამ დიდი ყურადღება დაუთმო ბირთვული იარაღის შემცირება-გაუვრცელებლობის საკითხებს. ამ ჭრილში აღნიშნა აშშ-რუსეთის სამომავლო ხელშეკრულების მნიშვნელობაზე. ობამამ ისიც თქვა, რომ 21-ე საუკუნეში ერთი სახელმწიფოსთვის შეუძლებელი იქნება მსოფლიოში არსებულ გამოწვევებთან გამკლავება.

ერთის შეხედვით ობამას სიტყვაში ახალი ან გასაოცარი არაფერია. ის, რომ თუნდაც ძლიერ ამერიკას ძალა არ ეყოფა მსოფლიო პრობლემების დასაძლევად, მარტივი ჭეშმარიტებაა. პრეზიდენტის სიტყვაში მთავარია სიტყვა – „თანამშრომლობისთვის“ პრაქტიკული მნიშვნელობის მინიჭება. თანაბარ საწყისებზე ურთიერთობა, ერთის წარმატებით, მეორისთვის შემაფერხებელი ბარიერების არ შექმნა – არის ის ბაზისი, რომელზეც ახალი კავშირები უნდა აშენდეს. თანაბარ ურთიერთობებს მოითხოვენ ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი, იაპონიის ახალი მთავრობა, სხვა ქვეყნები. შეძლებს თუ არა ობამა ახალი აზროვნების პოპულარიზაციას ერთობ კონსერვატიულ ამერიკაში – მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ის, რისთვისაც ობამა აირჩიეს, ახალი აზროვნებაა, დაპირისპირებულ მსოფლიოში ახალი თანაცხოვრების დაფუძნებაა. სკეპტიკოსთა აზრით მოსასმენად სასიამოვნო გეგმები ძნელად განსახორციელებელია. ეთნიკურ-რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებულ მსოფლიოში, სადაც ტერიტორიული საკითხები დიდი თუ პატარა ომების, კონფლიქტების საფუძველია, ძნელია ოპტიმიზმზე ლაპარაკი, როდესაც მსოფლიოს მილიარდზე მეტი მოსახლე მშიერია, როდესაც სასმელი წყალი დიდი დეფიციტია, როდესაც სასმელ-სარწყავად გამოსაყენებელ საერთო მდინარეების გამო სისტემატურ დაპირისპირებას აქვს ადგილი.

ტოკიოში ობამას ნათქვამმა „თანამშრომლობამ“ ძველი დრო გამახსენა. 1922 წლიდან, გენუის კონფერენციიდან დაწყებული, საბჭოთა კავშირი დაბეჯითებით აყენებდა ორ სისტემას შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების დაწყებას. სამწუხაროდ, დასავლეთი, აშშ კატეგორიული წინააღმდეგი იყო ამისა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ისეთი ცნობილი პოლიტიკოსები, როგორებიც იყვნენ აშშ-ის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში ლოჯი და სახელმწიფო მდივანი დალესი, ნეგატიურად უდგებოდნენ მოსკოვის მოწოდებას. „ვერ ვხედავ უახლოეს მომავალში შესაძლებლობას, რომ აშშ-მა გაიზიაროს მშვიდობიანი თანაარსებობის საბჭოთა პრინციპი. ორ ქვეყანას შორის შეიძლება არსებობდეს პოზიციათა დაახლოება კონკრეტულ საკითხებში, როგორიცაა განიარაღება, მასზე კონტროლი“ – ამბობდა ლოჯი. დალესი არა მარტო თემას უარყოფდა, არამედ მისი განხილვის აუცილებლობასაც.



**მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გამართულ სამიტებზე გამოთქმული მოსაზრებები ახალი აზროვნების დასაწყისის მიმანიშნებელია. განვითარებული კომუნიკაციების, ინტერნეტის, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ფონზე დრომოჭმულად გამოიყურება სისხლიანი დაპირისპირება, ტერორიზმი, ლოკალური ომები, სხვადასხვა სახის პროვოკაცია, მაგრამ ყოველივე რეალობაა – მხედველობაში მისაღები, ანგარიშგასაწევი. თანამედროვე ცხოვრება თანამედროვე აზროვნებას მოითხოვს. მის გარეშე შეუძლებელია ნეგატიურის პოზიტიურით შეცვლა, დამშვიდებული ცხოვრებისათვის შესაბამისი ატმოსფეროს შექმნა. ჩვენდა სამწუხაროდ, დამოუკიდებლად არსებობის განმავლობაში საქართველოს არც პოლიტიკას და არც საზოგადოებას თანამედროვე აზროვნების ნიშანწყალი არ გამოუვლენია. წარსულისკენ და არა მომავლისკენ მიდრეკილი ერი ვერ ახერხებს მის წინაშე არსებული პრობლემების გაანალიზებას, მათთან შებრძოლებას. როგორც ჩანს, ამისათვის აზროვნების ფუნდამენტური ცვლაა საჭირო, რასაც ვერც ხელისუფლება და ვერც საზოგადოება ვერ ახერხებს.**

**დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები მათთვის ჩვეული ტაქტიკიდან და ლექსიკიდან გამომდინარე, ცდილობენ ნაკლებად გააღიზიანონ ქართველი მასპინძლები შეგნებული თუ შეუგნებელი შეცდომების თუ დარღვევებისათვის, მაგრამ საქართველოზე მათი შეხედულება რომ ისეთი არ არის, როგორიც სასურველია, ცხადია. მე ქართველი ვარ, მაშასადამე ევროპელი ვარო!, ძახილი დიდი ვერაფერი შეღავათია. სულ უფრო ძნელად გასაზიარებელია მოსაზრება, რომ კავკასია ევროპაა ან – ქართველი ევროპელი. ქართული მენტალიტეტი ძირფესვიანად განსხვავდება ევროპულისგან, გარეგნული ნიშნები – ჩაცმულობა, უახლესი ავტომანქანებით სეირნობა ან ევროპაში სისტემატური ხეტიალი წამიერადაც არ გვაახლოვებს მასთან, ან არის კი აუცილებელი ევროპელობის დაჩემება? საკუთარი ისტორიისა და ცხოვრების წესის, ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის რა აუცილებლობას წარმოადგენს საკუთარის გადაგდება და შეუთავსებელი უცხოს შეთვისება, ამას წინათ ვაცლავ ჰაველმა განაცხადა, ქართველებმა ნატოში შესვლის ნაცვლად იმაზე უნდა იფიქრონ, როგორ დადგნენ ფეხზე, როგორ დაამყარონ ურთიერთობა მეზობლებთანო. ხელჩასაჭიდი აზრია, თუმცა მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. არ აწყობდათ. ერს ხელს აძლევს გაზეთ „ლელა კაკულიას“ კითხვა. ამ სასწაულების შემხედვარე პირდაფჩენილი უცხოელები გაოცებას ვერ მალავენ. ასეთი მენტალიტეტით წარმატებული მომავალი არ აშენდება, ისე, როგორც გაფართოებული უშიშროების საბჭოს მიერ სამსჯელოდ გამოტანილი საკითხით, ისეთით როგორიცაა – ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნა.**

იხ. 7 გვ.

ვაი მთავრობისგან!

# ნაცრის გუდის რესურსები ამოუწურავია!

## რა ღირს ადამიანის ჯანმრთელობა?

***მართლაც და რამდენი ღირს ადამიანის ჯანმრთელობა, არ გაინტერესებთ? ამ კითხვაზე ალბათ არ არსებობს სტანდარტული პასუხი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანის ჯანმრთელობისთვის საჭირო ფინანსების ერთიან ნორმას განსაზღვრავდეს. გააჩნია როგორი ეკონომიკური შესაძლებლობების ქვეყანაში ცხოვრობ და ამ ქვეყნის ხელისუფლება როგორი ფერის სათვალით (ვარდისფერი, ჩალისფერი, ხვლიკისფერი და ა. შ.) უყურებს საკუთარი ადამიანების ჯანმრთელობას. ჩვენთან, საქართველოში, მაგალითად, ძალიან ძნელია, თითქმის წარმოუდგენელია ამ სათვალის ფერის აღქმა, რამეთუ მთავრობა ნაცრის გუდიდან, რომელიც ნაცარქექიასავით ერთთავად ზურგზე ჰკიდია, ყოველდღიურად იმდენ ნაცარს აფრქვევს და ისეთ ბუღს აყენებს ქუჩებში, არა თუ ფერის შეგრძნება, გზის გაკვალვაც კი შეუძლებელია.***

ეს რაც შეეხება სათვალის ფერს, აი, თანხებზე კი, რომელიც ჯანმრთელობისთვისაა საჭირო, იმის თქმა შემიძლია, რომ საქართველოს მთავრობა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც გამორჩეული და განსაკუთრებულია – საკუთარ თავს ათჯერ და ასჯერ უკეთესად აფინანსებს, ვიდრე ქვეყნის მთელ მოსახლეობას. სამაგიეროდ, ერთი წუთითაც არ ივიწყებს თავად ჯანმრთელობის თემას და ამ ყოვლად საჭირბოროტო საკითხზე დისკუსიებსაც კი მართავს. აი, სულ რამდენიმე დღის წინათაც პრესცენტრ „რია ნოვოსტში“ თემაზე „რამდენი ღირს ადამიანის ჯანმრთელობა?“ თურმე ჯანდაცვის სხვადასხვა სფეროში არსებულ პრობლემებზე ზედმიწევნით საქმიანად და გამოწვლილვით ისაუბრეს ჯანდაცვის დეპარტამენტის გულდათუთქულმა წარმომადგენლებმა. როგორც პრესა იტყობინება, ისინი კმაყოფილებას ვერ მალავენ იმის გამო, რომ სამედიცინო სფეროში დღეს გევრად ნაკლები პრობლემებია, ვიდრე აქამდე იყო. დეპარტამენტის პრეზიდენტის სოფო ლეჟანიძის განცხადებით, ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ 18 წლამდე და 60 წელს გადაცილებული ავადმყოფები სახელმწიფოს დაფინანსებული ჰყავს. და თუ პრობლემები მაინც არსებობს, ალბათ, იმის ბრალია, რომ საქართველოს გაჭირვება და სიღარიბე ჯერაც არ დაუძლევია.

ამ ინფორმაციას რომ გავეცანი, არ დაგიმალავთ, საკუთარ თავს გავუწყერი: ჰე ბიჭო, როდემდე უნდა იჯდე ჭურში, სახელმწიფოს თურმე ჩემი ჯანმრთელობა დაუფინანსებია, მე კი არაფერი ვიცოდი(!). ამან ისე ამაფორიაქა, რომ ღამით რული არ მომაკარა, ადრიანად წამომაგდო და რაიონული კლინიკის გზას გამიყენა. უბნის ექიმის კაბინეტთან პენსიონერთა რიგი რომ არ დამხვდა, კი გამიკვირდა, მაგრამ ამავე დროს კიდეც მესიამოვნა: ეტყობა, ყველამ დამასწრო, გავიფიქრე, ექიმებს გაესინჯნენ, საჭირო ანალიზები გაიკეთეს აფთიაქებიდან წამლები ნახევარ ფასში (ან სულაც უფასოდ) აიღეს და ახლა გულდამშვიდებით მკურნალობენ-მეთქი.

უბნის ექიმმა, ქალბატონმა თამარ ბარაბაძემ გულითადად მიმიღო, თბილად მომიკითხა და კლინიკაში ჩემი სტუმრობის მიზეზით დაინტერესდა.

– მინდა სისხლისა და შარდის ანალიზები გავიკეთო, რენტგენზე გავეშუქო, უროლოგსა და ნევროპათოლოგსაც გავესინჯო, – ჩამოვურაკრაკე. ალბათ თქვენი დახმარება დამჭირდება, დავამატე შემდეგ.

– ჩემი არა, საკუთარი ჯიბის დახმარება კი დაგჭირდებათ, – მითხრა მკურნალმა ცოტა არ იყოს სევდანარევი ღიმილით.

– როგორ, განა ეს ყველაფერი პენსიონერთა უფასო სამედიცინო მომსახურებაში არ შედის? – აღმომხდა განცვიფრებულს.

– შედიოდა, მაგრამ აღარ შედის, ახლა არც ერთი ექიმი არ მიგიღებთ, თუ წინასწარ 15 ლარი არ გადაიხადეთ, – მიხსნის ქალბატონი თამარი, – უფასო ერთადერთი უბნის ექიმიღა დარჩა. მე, კი ბატონო, მიმსახურეთ!

– ანალიზები ხომ მაინც შემიძლია გავიკეთო უფასოდ?

– არა, ანალიზებიც ფასიანია. აი, შაქრის ანალიზი შეიძლება გაიკეთოთ უფასოდ, ეგეც ამ სამ დღეში თუ მოასწრებთ (აქცია ტარდება), თორემ მერე მაგაშიც ფულის გადახდა დაგჭირდებათ.

– დიაბეტი რომ არ მაწუხებს?

– რა უჭირს მერე, ვიდრე უფასოა, მოასწარით – მახარებს მკურნალი.

– მადლობთ, ჩემო ბატონო, ისედაც ყელთამდე ვარ სავსე სახელმწიფოს ყურადღებითა და თავაზიანობით, – კმაყოფილებას ვერ ვფარავ, – და ზედმეტად რატომღა შევაწუხო?!.

მე ამას ახლაღა მივხვდი, კლინიკაში სტუმრობის შემდეგ, სხვებმა, ეტყობა ჩემამდე გაიარეს პრაქტიკა (კლინიკაში პენსიონერთა რიგი ამიტომაც აღარ დგას) და სათანადო დასკვნაც გამოიტანეს – უხერხულია ხელისუფლება, რომელმაც ზედიზედ ორი უდიდესი მონსტრი (რუსეთის იმპერია და მსოფლიო კრიზისი) დაამარცხა, პატარა არ ამოასუნთქო და ფინანსურად გადატვირთო. რა ქნას ბოლოს და ბოლოს მთავრობამ, პირიდან ლუკმა გამოიღოს და პენსიონერებს უწილადოს?



იხ. 6 გვ.

ხედვა შორიდან

# კონსტანტინ ბოროვოი:
# პროპაგანდისტულ ტექსტებში ლოგიკას ნუ ეძებთ



**ცნობილი რუსი დისიდენტი, პარტია „დემოკრატიული კავშირის“ ლიდერი ვალერია ნოვოდვორსკაია და „ეკონომიკური თავისუფლების პარტიის“ დამფუძნებელი, რუსეთის დუმის ყოფილი დეპუტატი კონსტანტინ ბოროვოი აშშ-ში რუსული რადიო „დევიდზონის“ მოწვევით ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ქალაქში საჯარო შეხვედრებს მართავდნენ. შეხვედრა ქართულ „ვიწრო წრეშიც“, ქართულ ტრადიციულ სუფრასთან „მტრული“ საქართველოს ბედ-იღბალზე სჯაბაასითაც გაიმართა.**

**— ბატონო კონსტანტინ, პუტინ-მედვედევის ოპოზიციისგან არ მსმენია, რომ მას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით რაიმე სახის გეგმა აქვს, თუნდაც არჩევნების ჰიპოთეტურად მოგების შემთხვევისთვის. მივმართე რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის ცნობილ აქტივისტს.**

— რუსული ოპოზიცია ძალიან მრავალსახოვანია. სამწუხაროდ, იქ არის ძალები, რომლის ერთადერთ მიზანს მხოლოდ პოლიტიკური გადარჩენა წარმოადგენს. არის ძალები, რომელიც მხარს კრემლის იმპერიულ მისწრაფებებს იმისათვის უჭერენ, რათა ამომრჩეველს თავი მოაწონოს. რუსეთთან დაპირისპირებაში ვალერია ნოვოდვორსკაია და მე საქართველოს სრულად ვუჭერთ მხარს. კასპაროვსა და ნემცოვს ერთი პოზიცია აქვთ, „იაბლოკოს“ — მეორე. სამწუხაროდ, რუსეთის ოპოზიცია მკაცრი დევნისა და პრესინგის პირობებში მოქმედებს. მაგალითად, ჩვენმა სურვილმა რუსულ ოპოზიციაში საქართველოს მხარდასაჭერად რაიმე სახის მოძრაობის დაწყებასთან დაკავშირებით, სათანადო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა სწორედ იმის გამო, რომ საზოგადოება დღეს კრემლითაა დაჰიპნოზებული. საქართველოს მხარდაჭერა რუსეთის ხელისუფლების ნაციონალისტურ-იმპერიული ამბიციების ბატონობის პირობებში ძალიან რთულია.

**— „განჯადოება“ შესაძლებელია?**

— სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი მთლიანობა და სიმშვიდე რუსეთში დემოკრატიის განვითარებაზეა დამოკიდებული. ეს აგრესიული, ანტიქართული პოლიტიკის პოზიცია მანამ არ ალაგდება, სანამ ხელისუფლებაში იმპერიული ძალები ბოგინობენ. თუ რუსეთში დემოკრატული ღირებულებები დაინერგება, საქართველოსადმი დამოკიდებულებაც შეიცვლება.

**— იყო მოლოდინი იმისა, რომ კრემლი ენერგომატარებლებზე ფასების დაცემამ შეიძლება შეცვალოს, მაგრამ დიდი კი არა, მცირედი ცვლილებებიც არ ჩანს.**

— სამწუხაროდ, ენერგომატარებლების ფასი ასე რადიკულარად არ დაცემულა და ამიტომ რუსული ბიუჯეტის სანედლეულო რესურსებით კვება კვლავ გაგრძელდა. ეს კი რუსეთის ეკონომიკის ნორმალურად განვითარების მოთხოვნილებას ამცირებს. კრემლი ენერგომატარებლების ღირებულების გაზრდის პროცესზე კვლავ იქნება მიერთებული და ამიტომ იგი თავის პოლიტიკას არ შეცვლის. ენერგომატარებლებით გამყარებული ხელისუფლების ანტიდასავლური განწყობები ძალაუფლების გამკაცრებისთვისაა საჭირო. თუ ენერგომატარებლების ფასი მკვეთრად დავარდება, მაშინ კრემლის მიერ აგებული ენერგოკონსტრუქციაც დაინგრევა. დღესდღეობით ევროკავშირს საქმე აქვს რუსეთის ჯაშუშურ საზოგადოებასთან, რომელიც თავისი პოზიციების გასამყარებლად მოსყიდვასა და პოლიტიკის წარმოების სხვა არაცივილიზებულ მეთოდებს იყენებს. ეს ყველამ იცის, რადგან ეს ისედაც ჩანს. ამის დასტურია „გაზპრომის“ მეგობარი — გერმანიის ყოფილი კანცლერი. „გაგაზპრომების“ შეწინააღმდეგება კი ძალიან ძნელია. ისინი კი, ვისაც ევროკავშირის წევრ თავისსავე ქვეყნებში პრინციპული პოზიცია უჭირავთ, დიდი წნეხის ქვეშ იმყოფებიან. ვიმეორებ, ეს ძალიან არაცივილიზებული პოლიტიკაა და ამგვარ პოლიტიკას მხოლოდ ხისტი და პრინციპული შეწინააღმდეგება სჭირდება. დასავლეთი კი ამ პრინციპულობისთვის მზად არაა. რუსი დემოკრატებისთვის დღეს ძალიან მნიშვნელოვანია დასავლეთის მხრიდან საქართველოში აგვისტოში მომხდარის მიმართ არსებული დამოკიდებულებების დამზერა. რუსეთის მიმართ აუცილებელი, რეპრესიული, მკაცრი სანქციების, ეკონომიკური ბლოკადის მაგივრად კი რა ხდება? დასავლეთი კვლავ რაღაც მოლაპარაკებებზე საუბრობს, მაგრამ — რაზე? შეიძლება მოელაპარაკო იმ მხარეს, რომელმაც ყველა ძირითადი უფლება შელახა? თუ ეს ომი რუსეთს შერჩა, ხვალ მისი სამიზნე უკრაინა და პოლონეთი იქნება. ამის დაშვება არ შეიძლება!

**— არაფილოსოფიურად: შეიძლება მსხვერპლი იმავდროულად აგრესორიც იყოს და მსხვერპლიც?**

— ეს სრული აბსურდია. რუსეთი ცდილობს, რომ დასავლეთმა საქართველოს აგრესორობა, როგორც პოლიტიკური აქტი, ისე აღიაროს. კრემლმა ცილისწამება იმავე მექანიზმით ააგორა, როგორც — ათეული წლის წინათ, როცა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჩახშობა ტერორიზმთან ბრძოლად მონათლა. რუსეთში კვლავ ყველაზე აგრესიული, კველაზე საშიში იმპერიული ძალების ზეობაა.

**— როგორ აფასებთ საქართველოს დღევანდელ პოზიციას?**

— ვფიქრობ, დღეს საქართველოს პოზიცია არის პრინციპული, თანამიმდევრული და ეს დასავლეთს სიტუაციის გარკვევაში ძალიან ეხმარება. რუსული საზოგადოება კი ტოტალური პროპაგანდის ქვეშაა და ამ ვითარებაში, მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა. დაავადებული არანორმალურ პირობებში იმყოფება.

**— ექიმი?**

— მეგონა, რომ დასავლეთია ექიმი. მაგრამ დასავლეთი არათანამიმდევრულია, ძალიან ფრთხილობს, ეშინია. კარგად ვერ წარმომიდგენია ეს ყველაფერი რით შეიძლება დასრულდეს...

**— „უცნაურია“, რომ ჩეჩნეთის ორი ომის შესასწავლად ტალიავინის კომისიის მსგავსი რამ არ შექმნილა. რატომ?**

— წლების წინათ აშშ-ს ექსპერტულობისა და პრინციპულობის ნორმალური ხარისხი რომ გამოეჩინა, ცხადად დაინახავდა, რომ საქმე ეხებოდა არა ტერორიზმთან ბრძოლას, არამედ ჩეჩნების მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნას. ნათქვამია, რომ ის, ვინც ისტორიას ცუდად სწავლობს, განწირულია იმისთვის, რომ იგი მეორედ განვლოს. საქართველოს გამო რუსეთს პასუხი მკაცრად უნდა მოეთხოვოს. მთავარია, სასოწარკვეთაში არ ჩავარდეთ და განაგძოთ ისე, როგორადაც მოქმედებდით. თუმცა ისიც მესმის, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის საქართველო „ხურდა ფული“ აღმოჩნდა, ხოლო რუსული პროპაგანდა ისეთი მოუთოკავი გახდა, რომ ხალხმა დიდი ხანია „იცის“ : რუსეთს სწორედ საქართველო დაესხა თავს. ნებისმიერ რუსს რომ ჰკითხოთ, როგორ აფასებს იგი აგვისტოს მოვლენებს, იგი გეტყვით, რომ მტრულმა საქართველომ გააჩაღა ომი, რომ რუსეთი მხოლოდ მშვიდობისმყოფელია. მერე იწყება ემოციებით და არა ლოგიკითა და ჯანსაღი აზრით აპელირება. რუსეთმა კოსოვო დაიხვია ხელზე, მაგრამ კოსოვოც რომ არ ყოფილიყო, სხვა რამ იქნებოდა. პროპაგანდისტულ ტექსტებში ლოგიკას ნუ ეძებთ. პროპაგანდა ხომ იმაზეა აგებული, რომ ფაქტები ცოტ-ცოტა, აქა-იქ შეიცვალოს, გადაკეთდეს, მერე საქმეში ემოციები ჩაერთოს. აგერ ახლა პუტინმა დაიჩივლა: დასავლეთის პროპაგანდამ მსოფლიო დაარწმუნა, რომ საქართველოს რუსეთი დაესხა თავსო, არადა სინამდვილეში საქართველო დაესხა რუსეთსო, ანუ ჩვენ ვართ დაზარალებულებიო. რუსეთი პროპაგანდის ხერხს ყოველთვის მიმართავდა და რუს ხალხს ამის ყოველთვის სჯეროდა, რადგანაც პროპაგანდა სტერეოტიპის, შტამპის მეშვეობით იმართება. ნულოვანი რეიტინგის მქონე პუტინი ქვეყნის პირველი პირი პროპაგანდის მეშვეობით არ გახდა?

**— ტალიავინის კომისიის დასკვნაში წერია, რომ საქართველოს ისევე უნდა მოეგვარებინა ეს კონფლიქტი, როგორადაც მსოფლიოს სხვა კონფლიქტები, რომლებიც ომში არ გადაიზარდა...**

— გამოდის, რომ კომისია თურმე კონფლიქტის დარეგულირების საკითხს წყვეტდა და ამით ორი მხარის შერიგება უნდოდა. მაგრამ შერიგება აგრესორსა და იმ ქვეყანას შორის, რომელსაც თავს დაესხნენ, შეუძლებელია. ევროპის ქვეყნებს აგრესორის დამშვიდება დღესაც სურს. ასე იყო 1939 წელსაც, როცა სსრკ ფინეთს თავს დაესხა. უფრო სწორედ, როცა ევროპამ სსრკ-ს მისცა უფლება, რომ ფინეთს თავს დასხმოდა, თუმცაღა საომარი მოქმედებების შეჩერების მცდელობა იყო, მაგრამ ევროპამ თვალი დახუჭა, უხერხემლობა და უპრინციპობა გამოიჩინა.

XXI საუკუნეში მსოფლიო საზოგადოებას საქართველოსთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვანი პოზიცია რომ გაეცხადებინა, სწორედ ეს იქნებოდა პრობლემის გადაწყვეტა და არა პოსტფაქტუმ-მოლაპარაკებები. ახლა კი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემა გრძელვადიან პრობლემად გადაიქცა. მოლაპარაკებები მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს, მაგრამ სანამ აგრესორი არადემოკრატიულ ქვეყნად რჩება, მანამ არაფერი შეიცვლება.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. აშშ, ნიუ-იორკი**

ვაი მთავრობისგან!

# ნაცრის გუდის რესურსები ამოუწურავია!

**(მეხუთე გვერდიდან)**

რადგან პენსიონერთა, აგრეთვე, 18 წლამდე ასაკის ავადმყოფთა სამკურნალოდ სახელმწიფო დაფინანსება არსებობს, მათ კეთილი ინებონ და ეს დაფინანსება იმყოფინონ. რა თქმა უნდა, ისეთებიც გამოჩნდებიან, რომლებიც ასეთი დაფინანსების დაკონკრეტებას მოითხოვენ, — აბა გვაჩვენეთ კლინიკებში, საავადმყოფოებში, აფთიაქებში, ეს დახმარება რაში გამოიხატებაო, — მაგრამ მთავრობას იმიტომ ჰქვია მთავრობა, რომ ერთეულთა ხუშტურებს არ აჰყვეს და ყველაფერი ცივი გონებით განსაჯოს. რა საჭიროა ჭეშმარიტების დასამტკიცებლად კლინიკა-საავადმყოფოების სათითაოდ შემოვლა, როცა სახელმწიფოს ბიუჯეტში შეტანილია გრაფა, სადაც ჩაწერილია, რომ 18 წლამდე და 60 წელს გადაცილებულ ავადმყოფთა დაფინანსება არსებობს. რადგან ქაღალდზე არსებობს, ესე იგი რეალურადაც არსებობს, მორჩა და გათავდა!

ეგ კი არა, საქართველოში თურმე „ბავშვებზე ზრუნვის“ სპეციალური პროგრამაც კი არსებობს, რომელიც ასევე მკაცრად დაფინანსებულია. მეტსაც გეტყვით, ამ პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც 17579800 ლარით გაიზარდა, 2010 წელს 7719800 ლარით იკვეცება, მაგრამ მთავარია არა თანხები, არამედ ის, რომ „ბავშვებზე ზრუნვის“ პროგრამა არსებობს. მთავრობას უყურადღებობაში ვერ ჩამოვართმევთ იმ მდგომარეობასაც, რომ რეალურად ავადმყოფთა დაღუპვის მიზეზი ხშირად დაგვიანებული მკურნალობა ხდება. ამ შემთხვევაში უყურადღებობას იჩენენ თავად პაციენტები, რომლებიც თურმე უსახსრობის გამო თავს იკავებენ, აგვიანებენ ექიმთან მისვლას, რასაც ხშირად ლეტალურ შედეგამდე მივყავართ. ბოლო წლებში განსაკუთრებით შემაშფოთებელია ონკოლოგიური სენით დაავადებულთა რიცხვის ზრდა (ის მთელი მოსახლეობის 0,3 პროცენტს შეადგენსძ, რომლის პრევენცია და მკურნალობა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. შეღავათების არარსებობის პირობებში დაავადებულს ისღა დარჩენია, იჯდეს და გარდუვალ სიკვდილს დაელოდოს. თუმცა მთავრობა არც ისე უგულოა, როგორც ერთი შეხედვით გამოიყურება. იგი ასეთ ავადმყოფებს იმით ანუგეშებს, რომ მეოთხე სტადიაში ტკივილების გასაყუჩებლად აუცილებელ ნარკოტიკულ პრეპარატებს უფასოდ აძლევს...



აფთიაქებში ხომ ნუღარ იკითხავთ, წელიწადში თვე თორმეტია, ფასების ზრდა კი უთვალავი. აი, თბილისელი ნანა სიმონია თურმე მოხმარებული წამლების ქვითრებს საგულდაგულოდ ინახავს და ამით ანგარიშობს, რომელმა წამალმა რამდენი მოიმატა. მისი თქმით, მაგალითად, „პროდუქტალ MP“, რომელიც შარშან ივლისში 24 ლარი ღირდა, ახლა 31 ლარამდე გაძვირდა. 10 მილიგრამიან „კონკორში“, რომელსაც ადრე 17, 20 ლარად ვყიდულობდი, ახლა 32, 80 ლარი გამომართვეს, ხოლო კვირის თავზე უკვე 38,14 ლარი გადამახდევინესო. გაძვირდა „მეზიმ ფორტეც“ — რამდენიმე თვის წინათ 20 დრაჟეს 2,40 ლარად ვყიდულობდი, ახლა კი მასში 3,60-ის გადახდა მიწევსო.

ამის შემდეგ მოდი და დაიანგარიშე, რამდენი ღირს ადამიანის ჯანმრთელობა საქართველოში, მით უფრო თუ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ შეთავაზებულმა 5-ლარიანმა დაზღვევის პროექტმა უკვე კარგა ხანია ჩაილურის წყალი დალია. ჯანმრთელობის რეალურ ფასზე რა მოგახსენოთ, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, მთავრობას ამის სანაცვლოდ აქვს უებარი „სამედიცინო აპარატი“ — ნაცრის გუდა, რომლის რესურსები ამოუწურავია. როცა კი დასჭირდება, წაჰკრავს სადგისს ამ გუდას და ნაცრის ისეთ კორიანტელს დააყენებს, თვით ისტორიულ ნაცარქექიასაც შეშურდება.

**ოთარ ხუციშვილი**

ინფორმაცია

## უშიშროების საბჭოს სხდომა ცხინვალში

**ცხინვალში ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომას ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი ხელმძღვანელობდა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, სხდომის მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთში მყოფი რუსული დელეგაციის წევრები, რომელსაც რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე იური ზუბაკოვი თავმჯდომარეობდა.**

**ოსური მხარის ინფორმაციით, სხდომაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებული ოპერატიული ვითარება განიხილეს. სხდომა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა..**

## თელაველები ანტისანიტარიამ შეაწუხა

**თელავის რაიონის ორი სოფლის, ყარაჯალისა და რუისპირის მოსახლეობას ანტისანიტარიის პრობლემა აწუხებს. სოფელში მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენები თვეების განმავლობაში ყარაჯალისა და რუისპირის დამაკავშირებელ გზაზე იყრება.**

**— ყოველდღე მიწევს აღნიშნული გზის გავლა, საშინელი სიბინძურე და ანტისანიტარიაა. ვითხოვთ ხელისუფლება დაგვეხმაროს და გაგვატანინოს ნაგავი ამ ტერიტორიიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა სხვადასხვა დაავადებები გავრცელდეს, — განაცხადა ადგილობრივმა მანანა ვარდოსანიძემ.**

**თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოსახლეობის თხოვნაზე ამბობენ, რომ აღნიშნული პრობლემა სხვა სოფლებშიც დგას და თუ მოსახლეობა მათ განცხადებით მიმართავს, დაეხმარებიან.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ოპოზიცია

(მესამე გვერდიდან)

**— ნაციონალებმა დაპირებები უკუღმა შეასრულეს?**

— დიახ, მოსვლისთანავე გაზარდეს საპენსიო ასაკი და არასამთავრობო სექტორში გააუქმეს შრომის წიგნი. დღეს უკვე სახელმწიფო სექტორშიც უქმდება შრომის წიგნი. როგორც კი შრომის წიგნაკი გაუქმდება, მოისპობა მცნება სტაჟის იურიდიული საფუძველი. შესაბამისად, არ იარსებებს სტაჟის მიხედვით პენსია. სტაჟის მიხედვით პენსიის გაუქმებისაკენ ნაბიჯი უკვე გადაიდგა: დანამატები მოუხსნეს ომის ვეტერანებს, ინვალიდებს, რეპრესირებულებს... არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ხუთი ლარით პენსიის გაზრდის სანაცვლოდ ათასობით ადამიანს პენსია შეუმცირეს, სააკაშვილს ახალი დაპირებაც შეუსრულებელი აქვს. როგორც მახსოვს, პენსია 100 დოლარის ეკვივალენტი უნდა გამხდარიყო.



**— ბრძოლაში მარტო რატომ ხართ?**

— არა ვარ მარტო... ბევრი გვიჭერს მხარს.

**— სად არიან პარტიები, თქვენს გვერდით რატომ არ დგანან?**

— მე რატომ მეკითხები, იმათ უნდა ჰკითხოთ. მე აქციას ვიწყებ 25 ნოემბერს და თუ უნდათ, იქ გამოვლენ.

**— ე. ი. თქვენ საარჩევნო მარათონი დაიწყეთ? თქვენი ჟესტი ამას უფრო ჰგავს.**

— რა თქმა უნდა. არ დაგიმალავთ, საარჩევნო კამპანიას ვეწევი. წინასაარჩევნო პერიოდი ეს ის დროა, როცა მთავრობას ხალხის ეშინია და შეიძლება ყვავს კაკალი გააგდებინო.

ჩემი საბოლოო ამოცანაა ამ ხელისუფლების გასტუმრება და პლაცდარმად თბილისის მერობა მიმაჩნია, მაგრამ ამავე დროს მინდა, ამ ბრძოლაში კონკრეტული შედეგი იყოს ხალხისთვის. ადამიანები სამართლიანად კითხულობენ, მერე მე რა, თუ ერთი ხელისუფლება მეორეთი შეიცვალაო? — მართალია.

# ის, რაც დავითაშვილს კარგად ახსოვს, მიშას დაავიწყდა

**— ამ პირობის შეუსრულებლობას ომს აბრალებენ.**

— ომის შემდეგ საკმაოდ შემცირდა სამხედრო ხარჯები, სად წავიდა ის ფული? რაც აღდგენითი სამუშაოებია, ყველაფერი უცხოეთიდან არის დაფინანსებული. ამდენი დახმარების შემდეგ მაინც რატომ ვერ შესრულდა ეს დაპირება? იმიტომ, რომ ეს არის სადიზმი. საპენსიო ასაკის ზრდის ფონზე პენსიის შემცირება, ეს არის სურვილი იმისა, რომ კაცი მოკვდეს, ეკონომიკური გენოციდი — სიტყვები არ მყოფნის, რაც გინდა ის დაარქვით...

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია მცირე მეწარმეებისთვის ფიქსირებული გადასახადის დაწესება.

**— საკმაოდ საინტერესოა ანაბრების თემა. რეალურად შესაძლებელია თუ არა ათობით მილიონი ლარის გასტუმრება, აქვს კი სახელმწიფოს ამის რესურსი?**

— სავსებით შესაძლებელია, ოღონდ სრულად არა. აგერ ომის მონაწილეებმა იკითხეს, რამდენი ვართ სულ, რომ ასე მნიშვნელოვანია ჩვენთვის ხუთი ლარის დაკლებაო. ანაბრები მაინც მოგვცენ, რომ დასამარხი ფული გვქონდესო. თანაც ჩვენი კანონპროექტი მაშინ ითვალისწინებდა, რომ ანაბრების დავალიანება გასტუმრებულიყო ქონებით.

ყველაფერს რომ ყიდიან — მიწას, ტყეს, მდინარეს, რკინიგზას, გეგონება ამათი ბაბუების ნაყიდი იყოს მხოლოდ, ეს ამ ხალხის ნაშრომი ქონებაა. შემნახველი სალარო იყო სახელმწიფო, ამიტომაც, როგორც სამართალმემკვიდრეს, ამ ხელისუფლებას აღიარებული აქვს, რომ ეს ვალი უნდა გაისტუმროს. მაშინ ნუ ჰყიდიან ამ ქონებას სხვაზე. სანამ მოვალე გყავს, ჯერ ის უნდა გაისტუმრო.

**— ბიუჯეტს რა ეშველება?**

— რასაც ვამბობ, ეს ბიუჯეტს არ აზარალებს, არც ინფლაციას გამოიწვევს. უკაცრავად, მაგრამ ბიუჯეტი ოქროს კერპი ხომ არ არის, რომ ვეთაყვანოთ?!. წავართვათ, შევაგროვოთ, შევავსოთ და მერე სად დავხარჯავთ, კაცმა არ იცის. თუ ხალხს არ მოხმარდა, რა საჭიროა ბიუჯეტი? ხმარდება იარაღს, რომელსაც პირველივე შემოტევისთანავე მტერს ვატანთ. ასე რომ, ყველა ეს მოთხოვნა სამართლიანია, რაზეც ხელი მეც მოვაწერე. სააკაშვილს თუ არ ახსოვს, მე მახსოვს...

**— რას ფიქრობთ, ნაციონალები თუ არ დათანხმდებიან 50-პროცენტიან ბარიერს, ოპოზიციის კანდიდატს თბილისის მერობის შანსი ექნება?**

— ამას ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება. რადგან 40 პროცენტზე მეტს ვერანაირად ვერ აიღებენ ნაციონალები.

**— რა გზა რჩება ოპოზიციას, თუკი ხელისუფლება ვერ დაითანხმა?**

— გაერთიანება.

**— თქვენ წარმოგიდგენიათ დავითაშვილის გარშემო დარაზმული ოპოზიცია?**

— მე არ ვამბობ, რომ ჩემს გარშემო გაერთიანდნენ. ამისათვის ჩავატაროთ პრაიმერის არჩევნები და ვკითხოთ ხალხს. ვინც გაიმარჯვებს, სხვამ მოხსნას მის სასარგებლოდ კანდიდატურა. ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ თბილისში 30 პროცენტზე მეტი მხარდამჭერი არა ჰყავს, 70 პროცენტი ოპოზიციისაა.

**— რას იზამს, ვთქვათ, საპარლამენტო ოპოზიცია? ის ხომ მაინც გაგიყოფთ ხმებს?**

— ვინც თავს ოპოზიციონერად მიიჩნევს, ის პრაიმერში უნდა გაერთიანდეს. ამიტომ პრაიმერის იდეა ისევ აქტუალურია. ნოემბრის ბოლომდე უნდა დასრულდეს ხელისუფლებასთან 50 პროცენტზე ვაჭრობის პროცესი, რომელიც სავარაუდოდ, კრახით დამთავრდება. ამიტომ უმჯობესია, ჩავატაროთ ჩვენივე არჩევნები, მივიღოთ მონაწილეობა, გვექნება ჩვენი პარიტეტი, არ გვეყოლება თარხნიშვილი თუ სხვა ოხერი, ჩვენი საარჩევნო კომისიის პირობებში ვიბრძოლოთ. ჩვენივე ჩატარებულ არჩევნებს ვენდოთ და ხალხის ნებას დავემორჩილოთ. ცუდი შეთავაზებაა?

**— ბრწყინვალე.**

ესაუბრა
**თეა მოსია**

## გლობუსი

# მშვიდობიანი თანაარსებობა ქვეყნის გადარჩენის გზაა

(მეხუთე გვერდიდან)

როგორც „ოპოზიციონერ“, ისე ხელისუფალთა „პატრიოტიზმი“ ყველა საზღვარს სცილდება. განსაკუთრებული „თავდადება“ იგრძნობა საპარლამენტო „ოპოზიციური“ დამკვრელური ძალის „ქრისტიან-დემოკრატიიდან“. ლარსის გახსნას პროვოკაციები, დივერსიული აქტები, ნარკოტიკი შეიძლება მოჰყვესო — გაიძახიან „პატრიოტები“. სიფრთხილე, სიფხიზლეა საჭიროო, — აცხადებენ ისინი. სამშობლოს „სიყვარულით“ შეპყრობილით დაავიწყდათ, რომ გამშვები პუნქტი სულ რამდენიმე წელია რაც დაიხარა რუსეთის მხრიდან სარემონტო სამუშაოების გამო. მანამდე, ათეულობით წლის განმავლობაში მეფის რუსეთის სამხედროების მიერ გზის გაყვანის შემდეგ მას ფუნქციონირება არ შეუწყვეტია. დღიდან გზის გაჭრისა, მილიონობით ადამიანმა ისარგებლა მისი სიკეთეებით. მილიონობით ტონა ტვირთი გადაიზიდა. საქართველოს სამხედრო გზა უმოკლეს დამაკავშირებელ არტერიად გადაიქცა რუსეთს, კავკასიას, შუა აზიას, თურქეთს, ახლო აღმოსავლეთს შორის. ჩიხში მოქცეული სომხეთისთვის რუსეთთან დასაკავშირებლად საქართველოს სამხედრო გზას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. არანაკლები სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მას საქართველოს მთიანეთისათვის. გარდა ამისა ტრანზიტს ფულადი მოგებაც ახლავს. **რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის არქონა არ უნდა ემუქრებოდეს ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციას. საქართველოს ხელისუფლებას დიდი ხმაური უნდა მოეწყო რუსეთის მიერ ლარსის ჩაკეტისათვის, მაგრამ ეს საღი აზრის, პრაგმატიზმის შემთხვევაში ხდება. როდესაც ასეთი დეფიციტია, თვით შეიძლება ჩაკეტო თავი — „მოსალოდნელი საფრთხეების“ გამო. ბუნებრივია, შემდეგი კითხვების დაბადება — დახურვამდე რამდენმა დივერსანტმა, „შპიონმა“, ტერორისტმა, ნარკოტრეფიკერმა გადმოლახა ლარსის საზღვარი? მხოლოდ ამ გზით შეიძლება რუსი „დივერსანტების“ საქართველოში შემოსვლა? ქვეყანას, რომელსაც ევროპა-ამერიკასთან ცალმხრივად გაუქმებული აქვს შემოსასვლელი ვიზა, ნაკლები პრეტენზია უნდა ჰქონდეს საზღვრების დაცულობაზე.**

დაგეგმილი აჟიოტაჟი მორიგი სარეკლამო კლიპია ოპოზიცია-ხელისუფლების მიერ ხალხისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად. **სასაზღვრო პუნქტის გახსნა არ საჭიროებს „სერიოზულ“ კოლექტიურ გადაწყვეტილებას. საკითხი უწყების დონეს არ უნდა ცდებოდეს. მისთვის არ უნდა იხარჯებოდეს დრო და ენერგია. პუნქტის გახსნასთან დაკავშირებული „სიფრთხილე“ ვერავითარი პარამეტრით ვერ ჯდება ხელისუფალთა ტრადიციულ ვოლუნტარიზმში. სააკაშვილმა ცხინვალის ომი ისე დაიწყო არც კი გახსენებია უშიშროების საბჭო, პარლამენტი, მინისტრთა საბჭო. ხელისუფლებას არც მაშინ გახსენებია „კოლექტიურობა“, როდესაც ინდივიდუალურად წყვეტდა ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს. მგლის შიშით ტყეში არშესვლის ფორმულა აშკარად ეწინააღმდეგება თანამედროვეობას. ახალგაზრდა „პოლიტიკოსთა“ დახავსებული აზროვნება წაახალისებს სომხეთის განაწყენებას, საქართველოს დარჩენილი და ერთადერთი ტრანზიტორი ქვეყნის სტატუსის დაკარგვას. ახალი აზროვნების დეფიციტი არა მარტო ქართული პოლიტიკისთვისაა დამახასიათებელი, მას ღრმად აქვს ფესვი გამდგარი ექსპერტ-პოლიტოლოგებში. ამას წინათ ერთ-ერთი მათგანი — მენაღარიშვილი წერდა, რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელიო, ფრაზის ავტორის, საბჭოეთის და რუსეთის რძით გაზრდილი, ცხინვალის ომის შემხედვარე ყოფილი მინისტრისაგან გასაკვირია მსგავსი აზროვნება. დარწმუნებული ვარ, მას სჯერა, რომ მისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში აფხაზეთის ომი რუსებმა და აფხაზებმა დაიწყეს. გაოცებს ყოფილი ელჩის ჟღენტის „სიბრძნეც“ — „ყველა ჭკუათმყოფელ ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ რუსეთისკენ სვლა, რუსეთის ნაწილად ქცევას ნიშნავს ან ძალიან დიდი დოზით რუსეთის გავლენის ქვეშ ყოფნას, ყოფილი დიპლომატის აზრით, კავშირების ქონა ჩახუტებაა ან რომელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა ქცეული რუსეთის ნაწილად? მათ პრაგმატიზმიდან გამომდინარე რუსეთთან ის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები აქვთ, რომელსაც წარმატება მოაქვს საკუთარი ქვეყნისათვის. საინტერესოა რამდენი წლის, საუკუნის განმავლობაში უნდა იყოს საქართველო გაბუტულ პოზაში? სადამდე უნდა გაგრძელდეს 21-ე საუკუნისთვის შეუფერებელი, ღრმად ჩამორჩენილი აზროვნება? ტერიტორიით და მოსახლეობით თითქმის საქართველოს ტოლი ქვეყნები, ისეთები, როგორებიცაა ფინეთი და სინგაპური, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, სასწაულებს ახდენენ. ფინეთმა კიდევ ერთხელ გაგვაოცა მსოფლიოში გიგანტი საზღვაო ლაინერის აშენებით. რაც შეეხება სინგაპურს — ყოველწლიურად იზრდება მისი ტერიტორია ზღვისთვის წართმეული სივრცით. სინგაპურის ტერიტორიის მეხუთედი ამ გზით არის მოპოვებული. აღნიშნული ქვეყნებისათვის არა მარტო ეკონომიკური წინსვლაა დამახასიათებელი, არამედ საკუთარი მოსახლეობისათვის უმაღლესი სოციალური პირობების შექმნა, ყოველივე კი 21-ე საუკუნისთვის შესაფერისი აზროვნების შედეგია, მომავლის პრაგმატული ჭვრეტა, მუყაითი შრომა, ფსევდო პატრიოტიზმის არ არსებობა.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## მეცნიერება

# მსოფლიოში „ნანობუმია“, ჩვენთან?..

***ახლახან მეცნიერების დღეს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა (სმეა) და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების (მისს) ეგიდით გაიმართა აკადემიის სხდომათა დარბაზში.***

***— ვესაუბრებით სმეა-ის აკადემიკოს-მდივანს ოთარ ნათიშვილს.***

**— ბატონო ოთარ, მეცნიერების დღესთან დაკავშირებით ეგებ უპრიანი იყოს რამდენიმე სიტყვის თქმა აკადემიის მომავალ გეგმებზე, ქვეყანაში მეცნიერების შემდგომ პერსპექტივებზე...**

— სმეა-მ უკვე შეიმუშავა „საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების კონცეფცია (2010-2015 წლებიძ“ — როგორც ხედავთ, მთელ ხუთწლედზე გათვლილი. ის დაურიგდათ აკადემიური საბჭოს წევრებს, საბჭოსი, სადაც შედიან აკადემიის განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნებიც. იმათ მიერ გაკეთებული შენიშვნები და შემოტანილი წინადადებები გათვალისწინებულია და აღნიშნული კონცეფცია განხილული იქნება საბჭოს უახლოეს სხდომაზე; მოდით, ამ საგანზე საუბარი შემდგომ გავაგრძელოთ...

მეორე ჩვენი რესპონდენტი გახლავთ მისს-ის თავმჯდომარე, პროფესორი **რაფიელ ჩიქოვანი**.

**— ბატონო რაფიელ, თუ შეიძლება, პუნქტობრივ გავყვეთ საზეიმო სხდომის პროგრამას. სხვათა შორის, საზეიმო სხდომების პრაქტიკაში იშვიათია, რომ მოსაწვევ ბარათში მოხსენებების რეგლამენტი იყოს მითითებული, რაც მისასალმებელია და საგანგებოდ უნდა აღვნიშნო... ამრიგად, თქვენი 15-წუთიანი მოხსენება „ნანომეცნიერება და ნანოტექნოლოგიები — ახალი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია საზოგადოების ცხოვრებაში კიდევ უფრო მცირე დროში, გავაცნოთ მკითხველს. „ნანოს“ განმარტებაც მივაწოდოთ...**

— თანამედროვე მსოფლიოში ამჟამად ნამდვილი „ნანობუმია“, რაც ნანომეცნიერების, საკუთარივ ნანოტექნოლოგიების მეშვეობით უკვე მიღებულ შედეგებს მოჰყვა; კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ნანომეცნიერების, ნანოტექნოლოგიების გამოყენებანი, ერთი შეხედვით არნახული, ფანტასტიკური, დაუჯერებელი პერსპექტივებით, უდიდეს გავლენას მოახდენენ, მეტიც, განსაზღვრავენ კიდევაც ადამიანის საქმიანობას გნებავთ ტექნიკაში, გნებავთ მეცნიერებაში, მრეწველობაში, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, საინფორმაციო ტექნოლოგიებში, კულტურაში...

პირდაპირ განსაცვიფრებელია „ნანომიღწევები“ ელექტრონიკაში, ბიოლოგია-მედიცინაში, ფიზიკაში. მეტის თქმაც შეიძლება — ისინი გავლენას იქონიებენ ბუნებაში მიმდინარე პროცესებზეც კი.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები (და არა მარტო ისინიძ ნანოტექნოლოგიების განვითარებაზე მილიარდებს ხარჯავენ და საქართველო განზე არ უნდა დარჩეს, მილიარდებით თუ არა, მილიონებით მაინც.

პრეფიქსს რაც შეეხება, ნანომეცნიერებასა და ნანოტექნოლოგიებში შემავალს, „ნანო“ ბერძნულად „ჯუჯას“ ნიშნავს და იმიტომ დაერთო, რომ საქმე ეხება ნანოზომებს (რაც უდრის მეტრის მემილიარდედს; აქვე სათქმელად, ჩვენი თმის ბეწვის სისქე ასეულობით ათასჯერ აღემატება ნანოს...ძ.

ერთ შთამბეჭდავ მაგალითსაც მოვიყვან: ნანოელექტრონიკა გვაძლევს ისეთი კომპიუტერების შექმნის საშუალებას, რომლებიც ადამიანის თვალის დახამხამებაში (ნახევარი წამიძ რამდენიმე ათეულ მილიონ ოპერაციას შეასრულებს.

**— ისე, „ნანო“ ჯუჯა კი არა, ზეჯუჯა ყოფილა... დღის წესრიგის შემდეგი მუხლია 7-წუთიანი ფილმი „მზის ენერგიის გამოყენება ქართულ მეცხვარეობაში“, კავშირის „მზე და დედამიწის“ დირექტორს კოტე კობახიძეს რომ გამოუტანია...**

— დიახ, ეს იყო მოკლემეტრაჟიანი ფილმი ქართულ მეცხვარეობაში მზის ენერგიის ეფექტიანი გამოყენების შესახებ: ადგილზე როგორ მივაწოდოთ მეცხვარეებს მზის ენერგია ისე, რომ საჭმელი მოამზადონ, ცხვრების გასაკრეჭი მოწყობილობა აამუშაონ, წყალი გაითბონ...

**— დაბოლოს, ბატონო რაფიელ — ვის გადაეცა მისს-ის პრემია და მედალი?**

— მეცნიერების დღის ტრადიციული ჯილდო ხვდა კონკურსში გამარჯვებულ ამირან ბიბილაშვილს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს — წიგნისათვის „50 ფიზიკოსი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლმხედველობა“, მისი სამეცნიერო-პოპულარული მოღვაწეობის მხედველობაში მიღებით.

ეს ჯილდო შედგება პრემიისა და მედლისაგან; სხვათა შორის, ლამაზი მედალი ჩვენმა ოქროსხელება კოლეგამ, აკადემიკოსმა თენგიზ სანაძემ გააკეთა.

**თამაზ ებანოიძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მძიმე აღიარება

**კავკასიაში დაიწყო ბელარუსის პარლამენტის სამუშაო ჯგუფის ვიზიტი. მან უნდა შეაგროვოს ინფორმაცია საკითხის განხილვისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ. მივლინებაში, რომელიც გაგრძელდება 20 ნოემბრამდე, გაიგზავნა 12 ბელარუსი დეპუტატი. 6 მათგანი ჩავა საქართველოში, 3-3 კი – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში**

„შეხვედრები ძალიან ბევრია დაგეგმილი. ჩვენ მოვაწყობთ მოლაპარაკებას პარლამენტის და ხელისუფლების სხვა ორგანოების წარმომადგენლებთან, ეკლესიის წრეებთან, ოპოზიციურ სტრუქტურებთან“, – აღნიშნავს პარლამენტის ქვედა პალატის ეროვნული უშიშროების კომისიის ხელმძღვანელი ვიქტორ გუმინსკი. მისი სიტყვებით, ამ შეხვედრების მიზანია – „შევისწავლოთ სხვადასხვა ძალის დამოკიდებულება იმ მოვლენებთან, რომლებიც მოხდა, და გავიგოთ, თუ როგორ უმზერენ ისინი სიტუაციიდან გამოსვლის გზებს“. თბილისში აღნიშნავენ, რომ ბელარუსმა წინასწარ მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით, მიეცათ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩასვლის ნება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ გამოთქვა იმედი, რომ მინსკი გაუძლებს მოსკოვის „ზემოქმედებას“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში.

ამ დღეებში საქართველოში გაიმართა საქართველო-ბელარუსის ბიზნეს ფორუმი, რომლის დროსაც საქართველოს მხარე არწმუნებდა ბელარუსის საქმიანი ელიტის წარმომადგენლებს საქართველოსთან ეკონომიკური კონტაქტების მომგებიანობაში. მხედველობაში იყო მიღებული, რომ თუ ბელარუსი „ვერ გაუძლებს“ და აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, არავითარი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა არ გამოგვივა.

ბელარუს პარლამენტარებს საქართველოს დედაქალაქში გულთბილად შეხვდნენ. ისინი მოლაპარაკებას გამართავენ პარლამენტის თავმჯდომარესთან დავით ბაქრაძესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან გრიგოლ ვაშაძესთან და სხვა ოფიციალურ პირებთან. ბელარუსებს მიიღებს აგრეთვე საქართველოს საზოგადოებაში უზარმაზარი ავტორიტეტის მქონე პატრიარქი ილია მეორე. სტუმრებისთვის დაგეგმილია საუბრები „ალტერნატიულ“, პროქართულ ხელმძღვანელებთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა. ესენი არიან აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე დევნილობაში გიორგი ბარამია და სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა: „მნიშვნელოვანია, რომ ბელარუსმა შეიქმნას ობიექტური წარმოდგენა ჩვენს რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ჩვენ არავის ვუკრძალავთ სოხუმსა და ცხინვალში ჩასვლას, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ჩვენი თანხმობით. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ნორმების დაცვას ჩვენ მეტად პოზიტიურად ვაფასებთ“. საქართველოში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვიზიტის შემდეგ ბელარუს დეპუტატებს განზრახული აქვთ განიხილონ კავკასიის პრობლემა თავის რუს კოლეგებთან ერთად. დისკუსიები ამ თემაზე შეიძლება გაიმართოს საკავშირო სახელმწიფოს საპარლამენტო კრების მორიგ სესიაზე, რომელიც დანიშნულია მოსკოვში 26 ნოემბრისთვის.




სადეპუტატო სამუშაო ჯგუფის წევრებს ვიზიტის დამთავრების შემდეგ დასჭირდებათ რამდენიმე კვირა, რათა გააანალიზონ მიღებული ინფორმაცია. ამის შემდეგ საკითხი შეიძლება იყოს გატანილი პარლამენტის განსახილველად. თუ როდის მოხდება ეს, უცნობია. მიმდინარე სესია დამთავრდება დეკემბრის ბოლოს. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ საკითხის განხილვა გადაიტანონ საგაზაფხულო სესიაზე, რომელიც 2 აპრილს გაიხსნება.

ბელარუსმა პოლიტოლოგმა, პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა ოლგა აბრამოვამ შეგვახსენა, რომ პარლამენტარები მინსკიდან უკვე იყვნენ რეგიონში 2008 წლის აგვისტოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხი მაშინ არ განხილულა, ხოლო 2008 წლის სექტემბრის ბოლოს ბელარუსში გაიმართა არჩევნები და პარლამენტის შემადგენლობა შეიცვალა.

სოხუმისა და ცხინვალის აღიარებამ შეიძლება მინსკი გადაჰკიდოს ევროკავშირს და შეაჩეროს დასავლეთთან დაწყებული დიალოგი. თუმცა ბრიუსელმა ერთი წლით გააგრძელა სავიზო და საფინანსო შეზღუდვები ბელარუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ევროკავშირმა გადაწყვიტა შეაჩეროს სანქციების გამოყენება 2010 წლის ოქტომბრამდე. ევროკომისარმა საგარეო კავშირურთიერთობის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერმა განმარტა, რომ „სანქციები გრძელდება“, მაგრამ მათი შეჩერება ნიშნავს, რომ „შენარჩუნებული იქნება ბალანსი“ ბელარუსის ევროპულ პროცესებში ჩართვასა და იმ ფაქტის აღიარებას შორის, რომ ბელარუსში დემოკრატიული რეფორმების წინსვლის საქმეში ბევრი რამ გაკეთდა.

„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების პრობლემა ლაკმუსის ქაღალდია, რომლის მიხედვითაც შეიძლება განისაზღვროს, თუ საითკენ იხრება ბელარუსი – ევროპის თუ რუსეთის მხრისკენ“, – გვითხრა ოლგა აბრამოვამ. ბელარუსმა პოლიტოლოგმა ლეონიდ მინბლინმა ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ არის სხვა მიზეზებიც, რომელთა გამოც მინსკი არ აპირებს აღიაროს ახალი კავკასიური რესპუბლიკები: „ასეთმა აღიარებამ შეიძლება შექმნას უსიამოვნო პრეცედენტი, თითქოს მინსკი გამოდის საქართველოს სუვერენიტეტის შესაზღუდად. ბელარუსს ეს არ უნდა უნდოდეს, მასაც ხომ ეშინია სუვერენიტეტის შელახვისა“.

**მიხეილ ვიგნანსკი,**
**ოლგა ტომაშევსკაია**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# ბაღაფშს მეორე ტურის ეშინია

**აფხაზეთში რესპუბლიკის ხელმძღვანელის მომავალ არჩევნებამდე ოთხი კვირით ადრე სახელმწიფო და კერძო ტელეარხებზე, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში დაიწყო კანდიდატების წინასაარჩევნო აგიტაცია. ქვეყნის ხელმძღვანელობის უმაღლეს პოსტზე პრეტენზიას ხუთი კაცი აცხადებს. მეთვალყურეები ფიქრობენ, თუ რომელი გახდება მათგან პრეზიდენტი და გაჩნდება თუ არა ამასთან ერთად ახალი სიო ხელისუფლების დერეფნებში**

შეგახსენებთ, პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც დანიშნულია 12 დეკემბრისთვის, იქნება თანამედროვე აფხაზეთის ისტორიაში მეოთხე და რესპუბლიკის რუსეთის და კიდევ ორი ლათინური ამერიკის ქვეყნის მიერ აღიარების შემდეგ – პირველი. ქვეყნის უმაღლესი პოსტისთვის იბრძვიან დღევანდელი პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში, ექს-ვიცეპრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, მისი ყოფილი ოპონენტი წინა არჩევნებში, მეცნიერი ვიტალი ბღანბა, სახელმწიფო კომპანია „აფხაზეთის სანაოსნოს ხელმძღვანელი ზაურ არძინბა და აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიის თავმჯდომარე ბესლან ბუტბა.

ბაღაფშის კანდიდატურა წამოაყენა რესპუბლიკურმა პოლიტიკურმა პარტიამ „ერთიანმა აფხაზეთმა“, ბესლან ბუტბასი – აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიამ, ხოლო ვიტალი ბღანბას, რაულ ხაჯიმბასი და ზაურ არძინბას კანდიდატურები – საინიციატივო ჯგუფებმა. აღსანიშნავია, რომ ხუთი კ ანდიდატიდან სამი – ბაღაფში, ხაჯიმბა და არძინბა უკვე იყვნენ მეტოქეები 2004 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს. მაშინ ძირითადი კანდიდატები იყვნენ სერგეი ბაღაფში და რაულ ხაჯიმბა. სერგეი ბაღაფში მეორედ იყრის კენჭს, ხაჯიმბა, რომელმაც მიმდინარე წლის მაისში დატოვა ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, გამოდის, როგორც ოპოზიციონერი.

ბაღაფშის მთავარი კოზირი საარჩევნო ბრძოლაში არის, რასაკვირველია, აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და მისი დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მხრიდან და შემდეგ ხელშეკრულების დადება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. რაც შეეხება რაულ ხაჯიმბას იგი, როგორც ოპოზიციონერი, აკრიტიკებს ქვეყნის მართვის სტილსა და მეთოდებს.

დანარჩენი კანდიდატები – აფხაზეთის საზღვაო სანაოსნოს დირექტორი ზაურ არძინბა, ადგილობრივი დიდი ბიზნესმენი და ერთ-ერთი პარტიის თავმჯდომარე ბესლან ბუტბა და ეკონომიკისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვიტალი ბღანბა აქტიურად გამოდიან რესპუბლიკის დამოუკიდებლობისთვის, მისი ეკონომიკური ინტერესებისა და მოქალაქეების უფლებების დაცვისთვის. ცხადია, რომ, როგორც მინიმუმი, პირველ ორს აქვთ სოლიდური ფინანსური მხარდაჭერა და შეუძლიათ იქონიონ თავიანთი ინტერესების ლობირება ბიზნეს სტრუქტურებით.

სხვათა შორის, ამჟამინდელი პრეზიდენტის არჩევნები აფხაზეთში გაიმართება ახალი ფორმატით: კენჭისყრა მოეწყობა მხოლოდ აფხაზური ეროვნული პასპორტებით, რომლებსაც აუცილებლად ექნებათ შტამპი, საარჩევნო ბიულეტენების მიღების დროს რომ დაუსვამენ. სულ მთლიანად ნოემბრისთვის გაცემულია აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა 142 ათას 625 პასპორტი, მათ შორის გალის რაიონში – 3523 ეროვნული პასპორტი.

აღვნიშნავთ, რომ რესპუბლიკაში არიან ძალები, რომლებსაც შეუძლიათ აქტიურად იმოქმედონ საარჩევნო კამპანიის დროს. ამას გარდა, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთისგან განსხვავებით, აფხაზეთში წარმოიქმნება სწორედ ეროვნული სახელმწიფოებრიობა იმიტომ, რომ, ვისაც ეჭვი არ ეპარება ამჟამინდელი პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის გამარჯვებაში, საარჩევნო რბოლის შედეგებმა შეიძლება მოიტანონ სიურპრიზი. რასაკვირველია, მოქმედი პრეზიდენტის შანსი უფრო მაღალია, ვიდრე ნებისმიერი სხვა კანდიდატისა ცალცალკე. მაგრამ თუ აფხაზეთის ოპოზიცია შეთანხმდება კოალიციაზე, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ საარჩევნო რბოლა ძნელად რომ ერთ ტურად დამთავრდეს, და ასეთ შემთხვევაში არჩევნების შედეგების გამოცნობა მეტად რთული იქნება.

სხვათა შორის, ამჟამინდელ საარჩევნო კამპანიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება გახდეს მასში იმ ძალების მონაწილეობა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული კრემლის სახელისუფლო სტრუქტურებთან. ეს უკვე იყო 2004 წელს, როდესაც მოსკოვში დიდი ხნის განმავლობაში არ შეეძლოთ გარკვეულიყვნენ, თუ რომელი კანდიდატი არის უფრო ლოიალური რუსეთთან დაკავშირებით (ბაღაფში თუ ხაჯიმბაძ, შემდეგ კი აძლევდნენ ავანსებს ხან ერთს, ხან მეორეს. მაგრამ მოსკოვის პოლიტტექნოლოგები არ იყვნენ მზად ზუსტად „წაეკითხათ“ აფხაზეთის ელექტორატის განწყობა და ამოეცნოთ ეროვნული სპეციფიკა. როგორც ამომრჩევლები, ისე აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა არ დაემორჩილა მითითებებს ზემოდან, რითაც შემდგომში, სხვათა შორის, ძალიან ამაყობდნენ“.

ამჟამად არსებობს 2004 წლის სცენარის გამეორების საფრთხე. ძირითადი ბრძოლა, როგორც მაშინ, გაიმართება სერგეი ბაღაფშსა და რაულ ხაჯიმბას შორის, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ექნება რუსლან ბუტბას პოზიციასაც. მოსკოვი კი, ალბათ, ბაღაფშს დაუჭერს მხარს, როგორც ცნობილ პიროვნებას და გარკვეულწილად ამოსაცნობ პიროვნებას. ხომ სწორედ მასთან დაიდო უკანასკნელი წლის განმავლობაში რუსეთისთვის მეტად ხელსაყრელი კონტრაქტები და სტრატეგიული შეთანხმებანი. ამავე დროს, როგორც ალტერნატივა, არ იქნება დავიწყებული ხაჯიმბაც. ხომ ცნობილია, რომ კამპანიის წინა პერიოდში მოსკოვში იმყოფებოდა ბუტბაც.

და მაინც, აფხაზეთში განუჭვრეტელობის საკმაოდ დიდი ხარისხის მიუხედავად, 2004 წლის საარჩევნო კრიზისი ძნელად რომ განმეორდეს. ჯერ ერთი, რუსეთის მიერ მისი დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, რამდენადაც ეს პარადოქსული უნდა იყოს, მოსკოვის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო როლი და გავლენა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ეს იყო ხუთი წლის წინათ. ამიტომ ვინც უნდა დაიკავოს რესპუბლიკაში სახელმწიფოს ხელმძღვანელის პოსტი, იგი „განწირული“ იქნება კრემლთან თანამშრომლობისთვის.

მეორეც, აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის წინაშე დგას სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ამოცანა. ამიტომ იგი ვალდებულია იზრუნოს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ხარისხზეც. და ბოლოს, რესპუბლიკის თავად მცხოვრებლები, აგრეთვე უცხოელი მეთვალყურეები დარწმუნებული არიან, რომ მასზე, თუ რამდენად იქნება არჩევნები გამჭვირვალე და დემოკრატიული, დამოკიდებული იქნება მისი სახელმწიფო სუვერენიტეტის აღიარება.

**დიმიტრი პანოვკინი**

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**ევროპარლამენტის დეპუტატებმა მედვედევისთვის გაგზავნილ წერილში დააყენეს საკითხი რუსეთის ფედერაციაში ადამიანთა უფლებების დარღვევის შესახებ**

წერილი ემთხვევა ოთხშაბათს რუსეთ-ევროკავშირის სამიტის გახსნას, რომელზეც ტრადიციულად განიხილავენ რუსეთში ადამიანთა უფლებების დარღვევის საკითხებს. ევროპას ეშინია ასეთი საკითხების დღის წესრიგში შეტანა, რათა არ გაალიზიანოს თავისი პარტნიორი საგაზო გარიგებებში.

* * *



**იაპონიის პრემიერს სურს შეხვდეს მედვედევს სამხრეთ კურილიის კუნძულებზე**

იუკიო ხატოიამამ, რომელიც იმედოვნებს, რომ უახლოეს პერიოდში მიაღწევს წინსვლას „ჩრდილოეთი ტერიტორიების“ საკითხებში, განაცხადა, რომ „არ არის თანახმა სადავო კუნძულების მცირე ნაწილზე. მე მსურდა მომესმინა პარტნიორისგან უფრო წინმიმავალი წინადადება“, – მიუთითა პრემიერმა.

* * *

**მექსიკამ კალიფორნიის ყურეში ფრანგი ოკეანოგრაფის კუსტოს პატივსაცემად ერთ კუნძულს სახელი შეუცვალა**

თავის დროზე მკვლევარმა ბევრი დრო დაუთმო კალიფორნიის ყურის ან როგორც მას უწოდებენ კორტესის ზღვის შესწავლას. მეცნიერი დიდ პატივს სცემდა ამ რაიონს, როგორც „მსოფლიო აკვარიუმს“. ახლა ყოფილი კუნძული სერალვო იმყოფება ნახევარკუნძულ კალიფორნიასა და მექსიკის ჩრდილო-დასავლეთ შტატებს სონორსა და სინალოას შორის.

* * *

**ათენში მოხდა ანარქისტების შეჯახება პოლიციასთან: დაიჭირა 13 კაცი**



მანიფესტაციაში, რომელიც ეძღვნებოდა 1973 წლის სტუდენტთა აჯანყების წლისთავს, მონაწილეობა მიიღო 10 ათასამდე კაცმა, დაახლოებით 200 ახალგაზრდა დაკავებულია. წესრიგის 6 ათასი დამცველი იცავდა უსაფრთხოებას ათენის ქუჩებში. ქალაქის ცენტრი გადაკეტილი იყო მსვლელობებით, რამაც გამოიწვია სერიოზული საცობები.

* * *

**პოლიციის მანქანა, რომელიც აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის კორტეჟის წინ მიდიოდა, ავარიაში მოყვა**

ინციდენტი მოხდა ნიუ-იორკში. ორი პოლიციელი და ლიმუზინის მძღოლი უმნიშვნელო ტრავმებით ჰოსპიტალიზებულია. თავად ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე არ დაზარალებულა. ერთ კვირაში ბაიდენის კორტეჟის მონაწილეობით ეს უკვე მეორე ავარიაა. 7 დღის წინათ ერთ-ერთმა თანხმლებმა მანქანამ გაიტანა ვაშინგტონის ფეხით მოსიარულე.



დაიჯესტი

# მესინგი – ჰიტლერის ღამის კოშმარი

## 35 წლის წინათ 8 ნოემბერს გარდაიცვალა სახელგანთქმული წინასწარმეტყველი და ტელეპატი



***„ვოლფ მესინგმა მეცნიერებს დაუტოვა ფული, რათა მათ დაწვრილებით შეისწავლონ მისი ტვინი სიკვდილის შემდეგ. მაგრამ მესინგის ტვინის საიდუმლო მაინც ვერ ახსნეს“, – აღნიშნავს მსახიობი და მუსიკოსი ლუიზა ხმელნიცკაია.***

***მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული წინასწარმეტყველის ვოლფ მესინგისა, ამბობენ, ეშინოდა თავად სტალინსაც. მან ვერ აიცილა თავიდან საკუთარი სიკვდილი, თუმცა იცოდა თავისი იმ ქვეყნად წასვლის თარიღი.***

***ლუიზა და ბორის ხმელნიცკების ოჯახი 20 წლის განმავლობაში მეგობრობდა ვოლფ მესინგისთან.***

### მძიმე ხვედრი

**„ვოლფ მესინგი ძალიან აინტერესებდა იოსებ სტალინს, – გვიამბობს ისტორიკოსი როი მედვედევი.** – თავად სტალინსაც ჰქონდა აბსოლუტურად ცხადი ჰიპნოზური უნარი. ბევრი ადასტურებს: როდესაც იგი თავისი დაბალი ხმით ლაპარაკობდა, თითქოსდა აპარალიზებდა მსმენელებს. სტალინმა ერთხელ მესინგი მიიწვია სასაუბროდ და დასასრულს ეუბნება მას: „ვოლფ გრიგორის ძევ, რას იტყოდით, თუ თქვენ საშვს მე დავიტოვებდი. შეძლებდით უიმისოდ კრემლიდან გასვლას?“. მესინგმა უპასუხა: „არ არის პრობლემა“.

და აი სტალინი ზის თავის კაბინეტში და ელოდება, თუ როდის დაურეკავენ მას და შეატყობინებენ, რომ მესინგი დაკავებულია საშვის უქონლობის გამო. მაგრამ დრო გადის, არავინ რეკავს. სტალინმა ველარ მოითმინა და თავად აკრიფა დაცვის ბოლო პუნქტის ნომერი, ჰკითხა მორიგეს: „მესინგმა გაიარა?“ მას უპასუხეს: „დიახ, გაიარა“. სტალინი აღშფოთდა: „როგორ გაატარეთ?“. მორიგემ უპასუხა: „მან მოგვცა თავისი საშვი თქვენი ხელმოწერით“. სტალინმა უბრძანა მიეტანათ მისთვის ის ქაღალდი. მცველმა მონახა მესინგის „საშვი“, დახედა მას და დაიბნა – ეს იყო გაზეთის ჩვეულებრივი ნახევი“.

### ფული ტვინისთვის

**არა მხოლოდ სტალინს ეშინოდა ვოლფ მესინგისა.** ჰიტლერმა 200 ათასი რეიხსმარკის ჯილდო დააწესა მისი თავისთვის მას შემდეგ, რაც მესინგმა საჯაროდ განაცხადა, რომ თუ გერმანია დაიწყებს ომს აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჰიტლერი დაიღუპება. შედეგად მესინგი მაინც დააიჭირეს ვარშავაში, მაგრამ მან დააჰიპნოზა გესტაპოელები და გაექცა დაცვას.

– ჩემი მამამთილი იყო დიდი მზვერავი მიხეილ მაკლიარსკი, რომელსაც გერმანელებმა საბჭოთა დაზვერვის ტვინი უწოდეს, – გვიამბობს ლუიზა ხმელნიცკაია. – ერთხელ მას შევეკითხე: „როგორი ურთიერთობა გაქვთ მესინგთან? გააკეთა რამე მან ჩვენი დაზვერვისთვის?“ – მან გაიღიმა და მითხრა: „გააკეთა და საკმაოდ ბევრიც“. მან ხომ არა მხოლოდ ჰიტლერის დაღუპვა იწინასწარმეტყველა, არამედ გამარჯვების ზუსტი თარიღიც კი – 8 მაისი! ეს ხომ ფოკუსი არ არის! მან იწინასწარმეტყველა თავისი სიკვდილის თარიღიც კი. როდესაც ის მიდიოდა საავადმყოფოში ოპერაციისთვის, ყველას დაემშვიდობა, შემდეგ კი თავისი სახლის სადარბაზოს წინ შეჩერდა და თქვა: „მე აქ ველარ დავბრუნდები“. მესინგი შეძლებული კაცი იყო. მას ძალიან სურდა, რომ დაეტოვებინა მეცნიერებისთვის ფული, რათა მათ შეესწავლათ მისი ტვინი სიკვდილის შემდეგ. შედეგად ფული კი დატოვა, მაგრამ ტვინი მაინც ვერ შეისწავლეს. ის უბრალოდ დაათვალიერეს და განაცხადეს, რომ ვერავითარი გადახრა საზოგადოდ მიღებული ნორმებიდან ვერ აღმოაჩინეს.

***მან ხომ არა მხოლოდ ჰიტლერის დაღუპვა იწინასწარმეტყველა, არამედ გამარჯვების ზუსტი თარიღიც კი – 8 მაისი!***

**ვალენტინა ობერემკო**

„Аргументы и факты“

### ექსპერტთა აზრი

***„მჯერა, რომ მესინგს ჰქონდა ჰიპნოზის უნარი, – ამბობს როი მედვედევი. – მაგრამ ის, რომ მან იწინასწარმეტყველა დიდი სამამულო ომის დამთავრების თარიღი, ძალიან მაეჭვებს. ბრძოლის შედეგები ხომ განისაზღვრება უამრავი ფაქტორით. შეიძლება ადამიანს ჩაუნერგო რაც გინდა – გრძნობებიც, საქციელიც, მაგრამ ისტორიული მოვლენების განჭვრეტა არ იმართება“.***

***„ვოლფ მესინგის ტვინი ინახება ჩვენთან მოსკოვის ტვინის ინსტიტუტში, – გვიამბობს რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნევროლოგიის ცენტრის ტვინის კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი სერგეი ილარიოშკინი. – ის გამოიკვლიეს და ამონაჭრები დატოვეს ინსტიტუტში მხოლოდ როგორც ექსპონატები. შემდგომში მესინგის ტვინის შესწავლა აღარ მომხდარა“.***

***„ჩაუნერგო ჰიპნოზით ერთბაშად რამდენიმე კაცს, რომ ქაღალდის ნაგლეჯი ეს საშვია, სავსებით შესაძლებელია, – ამბობს რუსეთის ფსიქოთერაპევტური ასოციაციის კლინიკური ჰიპნოზის ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრ ბლინკოვი. – ასეთი ჰიპნოზი კონცენტრაციის საკმაოდ კარგად განვითარების დროს შეიძლება აითვისოს ნებისმიერმა ადამიანმა. სხვისი აზრის წაკითხვა და ჩანაფიქრის ამოცნობა ასევე შესაძლებელია იმ ხალხის მიერ, რომლებსაც კარგად აქვთ განვითარებული მგრძნობელობის სენსორული ჩვევები. ასეთ ხალხს სწავლობდნენ საბჭოთა პერიოდში, ვინაიდან ამისთვის იყო ყველა საშუალება. მათთან მუშაობდნენ ლაბორატორიები, როგორც ღია, ისე დახურული ტიპისა. მაგრამ, ბუნებრივია, ყველაფერი ეს მიმდინარეობდა გრიფით „საიდუმლო“. ჩვენ დროს დახურულ სტრუქტურებშიც კი ასეთი ლაბორატორიები უკვე აღარ არის“.***

სამართალი ქართულად

# ეს არის ბიზნესის ხელშეწყობა?

## ნახევარი საათით საბუთის დაგვიანების გამო მეწარმე 98.000 ლარით დააჯარიმეს!

**რუსი „მშვიდობისმყოფელების“ გასვლის შემდეგ მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროს ამჟამად საქართველოს განსაკუთრებულ დავალებათა სამსახურის თანამშრომლები აკონტროლებენ, სოფ. რუხის ტერიტორიაზე სწორედ იმათ შეამჩნიეს „კამაზის“ მარკის სატვირთო ავტომანქანა. შემოწმების მიზნით ავტომანქანა გააჩერეს, რომელსაც მართავდა აფხაზეთიდან დევნილი, დროებით სოფ. ცაიშში მცხოვრები ლექსო ცაავა.** მანქანაში აღმოჩნდა 14 ტონა დარჩეული თხილი. ვითარების გასარკვევად გამოიძახეს ჯერ საპატრულო, ხოლო შემდეგ ზუგდიდის პოლიციისა და საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები. გაირკვა, რომ ლექსო ცაავასა და მის ხუთ თანამონაწილეს თხილი შეგროვებული ჰქონდათ სენაკში, სათანადო საბუთიც გააჩნდათ. და სავარაუდოდ სარეალიზაციოდ გაჰქონდათ აფხაზეთში. დე იურე აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაა და ამიტომაც ნებისმიერი საქონლის იქ შეტანაც ნებადართულია. მაგრამ ლექსო ცაავას ადგილზე არ აღმოაჩნდა ტრანსპორტით საქონლის შიდა გადაადგილების საბუთი. მან ეს საბუთი ნახევარი საათის შემდეგ წარმოადგინა, მაგრამ სამართალდამცავებმა ეს დაგვიანებული საბუთი არ მიიღეს.

ლექსო ცაავას საქონელს ექსპერტიზა ჩაუტარდა. დარჩეული თხილი დააყადაღეს და მას ჯარიმის სახით დააკისრეს 98 000 ლარის გადახდა. თვეზე მეტია დაყადაღებული თხილი ზუგდიდის პოლიციის ეზოშია და მას ვერ მიიღებს მეპატრონე, სანამ დაკისრებულ ჯარიმას არ გადაიხდის. არადა, ასეთი კოლოსალური თანხის გადახდა, დევნილ ცაავას და მის თანამონაწილეებს ძალიან უჭირთ. რა ქნან არ იციან, სასამართლოში სარჩელიც არ შეაქვთ. იხვეწებიან თხილი დაგვიბრუნონ და მისი რეალიზაციის შემდეგ ჯარიმის ფულსაც გადავიხდითო, მაგრამ საგადასახადო ინსპექცია ჯიუტად ამის უფლებას არ იძლევა. ამასობაში თხილიც ფუჭდება და სარეალიზაციოდ უვარგისი გახდება.

ბოლო დღეებში ლექსო ცაავასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. გავრცელებული ინფორმაციით, ის აფხაზეთის ტერიტორიაზე დააკავეს, გაურკვეველია რატომ და რამდენი ხნით...

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

გამოხმაურება

# როდემდე აგრე, დადრა სერგ(ჯ)ო?

### წერილი სერგეი შამბას



**უშპაყვა ვარა, სერგო, ანუ სერჯო, როგორც ლათინები ამბობენ ხოლმე. აქვე გეტყვით, თუ რატომ ჩამოვაცილე თქვენს სახელს რუსული დაბოლოება. საწყენად არ მიიღოთ, მე თქვენი სახელი კი არ დავამახინჯე, არამედ, პირიქით, მას პირვანდელი ლათინური ელფერი აღვუდგინე. თუმცა სახელის გადაკეთებას ვინ ჩივის, როცა ერთი მუჭა სეპარატისტებმა აფხაზეთი აფხაზი ხალხის ნების გაუთვალისწინებლად რუსეთის ნაწილად გადააკეთეთ.**

ორიოდ სიტყვა უნდა მოგახსენოთ თქვენს ინტერვიუზე, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გადმოიბეჭდა ჟურნალ „გზიდან“, საიდანაც გავიგე, რომ თქვენ დედა (მეუღლეც) ქართველი გყოლიათ, დედანშივე კითხულობთ ხოლმე ქართველ კლასიკოსებს. კარგად მოგეხსენებათ, რომ ძალიან ბევრი დედით აფხაზი ქართველი აფხაზურად მშვენივრად მეტყველებს. მე პირადად არ გამკვირვებია, როცა გავიგე, რომ თქვენ ქართულ ტექსტს კითხულობთ.

უნდა შემოგთავაზოთ რამდენიმე უცხოელი ისტორიკოსის გამონათქვამი, რომლებიც (თქვენი გამოკლებით) აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებენ. აქვე მინდა გკითხოთ, არ დაუჯერო იმ უძველესი ხანის ისტორიკოსებს, რომელთა გამონათქვამებს ახლა შემოგთავაზებთ? არა მგონია, ისინი თქვენთვის, ისტორიკოსისთვის ნაცნობი არ იყოს:

„რაც შეეხება დანარჩენ კოლხეთს, მისი დიდი ნაწილი ზღვაზე მდებარეობს“ (სტრაბონი); „ძველ მატიანეებში აბაზა ივერიად ითვლებოდა“ (იატკობ ტაინეგსი); „მიიჩნევენ, რომ ისინი (აფხაზები) ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის აბორიგენები არიან“ (კლაპროტი).

ახლო წარსულში აფხაზეთში კრემლი ავრცელებდა სიცრუეს, უძველესი ხანის რომაელი და ბერძენი ისტორიკოსები კოლხეთში ნამყოფი არ ყოფილანო. ახლა რუსი ისტორიკოსის გამონათქვამს შემოგთავაზებთ: „საფიქრელია, რომ ადიღეური ტომების მიერ შევიწროებული აბასკების დიდი ტომი ნაწილობრივ გადმოვიდა გაგრის ქედზე“ (დიაჩკოვ-ტარასოვი).

ბატონო ისტორიკოსო, ეგებ საკუთარ თანამემამულეთა მოსაზრებანი მაინც გაიზიაროთ, აი, ერთი მათგანი. „არსებობს მრავალი ფაქტი, რომლებიც ღაღადებენ, რომ აფხაზები მუდამ ერთიანი ისტორიული და კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდნენ ქართველებთან ერთად, რომ აბხაზები, საკუთრივ, იგივე ქართველნი არიან“ (დ. გულია).

დაუჯერებელია, რომ თქვენს წინაპრებს, კრემლის მარიონეტი სეპარატისტების მსგავსად, ერთმანეთში არეოდათ აფხაზები და აფსუა-ადიღები. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ადიღებიც, როგორც იბერიულ-კავკასიური ოჯახის წევრები, ქართველთა ნათესავები არიან. თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ. აფხაზეთში მცხოვრები გვარამიები, აბაშიძეები, გაბელიები, თაყაიშვილები, ქირიები, ახვლედიანები და სხვები ქართველური ტომის შვილები არიან და არა ადიღეური წარმოშობისა. ესეც თქვენ ძალიან კარგად გაგეგებათ. თქვენ ჟურნალისტს ეუბნებით, მეუღლე ქართველი მყავს და არა მეგრელიო. ეჭვი არ მეპარება, კრემლი ამ განცხადებისთვის ფრიადს დაგიწერდათ. კრემლმა ხომ ჯერ კავკასიელები– იბერიულ-კავკასიური ოჯახის მონათესავე ხალხები გადაკიდა ერთმანეთს. ახლა კი ქართველებისა და ქართველური ტომების (მეგრელები, სვანები) გათიშვას ცდილობს, „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით. თქვენ კი, ერთი მუჭა სეპარატისტები, მტრის ამ ვერაგული დავალების განსახორციელებლად არაფერს იშურებთ. დადრა სერგ(ჯ)ო, არ გამოუვა კრემლს ამ განზრახვის რეალიზება!

ვამთავრებ სტანისლავ ლაკობას მოსაზრებით, იმ სტანისლავისა, რომელიც გუშინ, ე. ი. ახლო წარსულში სულ სხვას წერდა და ამბობდა, მერე კი კრემლის ზეწოლით გარდაისახა: „აფხაზები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ცხოვრობენ სოხუმში. ისინი ძირითადად სახლობდნენ გუდაუთისა და ოჩამჩირის სოფლებში“...

დასასრულ მინდა დაუფარავად გითხრათ: ინტერვიუდან აშკარაა, რომ თქვენ, დადრა სერგ(ჯ)ო, გაორებული პიროვნება ბრძანდებით, ლაპარაკობთ ერთს, გულში კი სხვას ფიქრობთ.

როდემდე აგრე?

**ანზორ გვარამია.**
**აფხაზეთიდან დევნილი**

ნარდი

# ზურგს თუ „სოკარი" გიმაგრებს



**ბოლო ორი წელიწადია ქართველი მონარდეები წარმატებით ასპარეზობენ საერთაშორისო სარბიელზე. დასტურად საქართველოს ნაკრების მიღწევებიც კმარა სპორტულ ნარდში (ნარდი საერთაშორისო წესებით) საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე, რომელიც ჩვენმა გაზეთმა ვრცლად გააშუქა.**

გამარჯვებების საწინდარი ისიც არის, რომ ხშირად იმართება შიდა შეჯიბრებები, რაც ჩვენებურთა სპორტული ოსტატობის ამაღლებას ემსახურება. თბილისის სპორტული ნარდის კლუბმა (დირექტორი ანზორ ბაბუხადიაძ ამას წინათ საინტერესო ღონისძიება მოაწყო, რომელშიც ქაქუჩა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრებიც მონაწილეობდნენ. პირველი ადგილი **შმაგი საყვარელიძემ** დაიკავა. ჩოხოსანმა **ანზორ ბაბუხადიამ მას სპეციალური ჯილდო – ქართული ნარდი გადასცა.**



გასულ უქმეებზე თბილისის კლუბის ინიციატივითა და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" მესვეურთა მხარდაჭერით კიდევ ერთი ტურნირი გაიმართა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ფინალში **ბესარიონ მიქელაიშვილმა ვახტანგ გზირიშვილს სძლია და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე-მეოთხე ადგილები, შესაბამისად, გიორგი ქავთარაძემ და დავით თავაძემ გაინაწილეს.** გამარჯვებულები და პრიზიორები დიპლომებითა და „სოკარის" მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქრებით შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, ნარდში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა **ომარ დვალმა** დააჯილდოვა. საგულისხმოა, რომ ასპარეზობის მონაწილე „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" რამდენიმე თანამშრომელი თბილისის სპორტული ნარდის კლუბის წევრი გახდა. იმედია, მათ მაგალითს სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც მიბაძავენ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: ნარდმა ასაკი არ იცის; შეჯიბრების მომენტი.**

**ანა დვალის ფოტო.**

სპორტული ცეკვები

# „ოქროს საწმისი – 2009"



**შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზი სამ დღეს მასპინძლობდა სპორტულ ცეკვებში საერთაშორისო ტურნირს „ოქროს საწმისი – 2009", რომელშიც თერთმეტი ქვეყნის 250 წყვილი მონაწილეობდა. შეჯიბრების პროგრამაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატიც შედიოდა. პირველი ადგილი უკრაინელებმა მაქსიმ ლეტიუშკინმა და კატერინა იოვიკმა დაიკავეს. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, გენდი ცინკევიჩი და მზია ორველაშვილი (საქართველოძ, ალბერტ აკოფიანი და ქსენია იუზვა (სომხეთიძ გავიდნენ.**

ლათინურამერიკული ცეკვების ღია საერთაშორისო ტურნირიც ლეტიუშკინმა და იოვიკმა მოიგეს. მომდევნო ორი საპრიზო ადგილი ისრაელის წარმომადგენლებს – შამრიელ დავიდოვსა და ოლგა ჩუპილოვას, ვლადიმირ მარტინოვსა და საროტ კონიკოვას ხვდათ, ევროპულ ცეკვებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. გენადი ცინკევიჩი – მზია ორველაშვილი, 2. ლევან ახვლედიანი – მარი ბექიაშვილი, 3. გიორგი გაჩეჩილაძე – სალომე ჭაჭუა (სამივე – საქართველოძ.

„ოქროს საწმისის" პროგრამით პირველად გაიმართა შეჯიბრებები პროფესიონალ მოცეკვავეთა შორის. ევროპულ ცეკვებში პირველობა არავის დაუთმეს ლატვიელებმა – გატის სეველსმა და ელენა დანჩენკომ, ხოლო ლათინურამერიკულში მოსკოველებმა – ვასილი მარჩენკოვმა და ელენა სკრიპჩენკომ გაიმარჯვეს.

**გიორგი გაგუა**

ბატუტზე ხტომა

# აზიური რაფსოდია ნევის ნაპირებზე

**სანკტ-პეტერბურგში გრძელდება ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებმა ცუდად იასპარეზეს: ლუბა გოლოვინამ 47-ე ადგილი დაიკავა, ნანა ღუჭაშვილმა – 59-ე, ხოლო თენიზ კოშკაძე 61-ე ადგილით დაკმაყოფილდა.**

**გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:**

**ინდივიდუალური ხტომები. ქალები.** 1. შანშან ჰუანი – 39.500, 2. ჰი ვიენა (ორივე – ჩინეთიძ – 39.400, 3. კარენ კოკბურნი (კანადაძ – 38.700. **ვაჟები.** 1. დონ დონი – 42.900, 2. ლუ ჩუნლონი (ორივე – ჩინეთიძ – 42.300, 3. იასუჰირო უეიამა (იაპონიაძ – 42.100.

**სინქრონული ხტომები. ქალები.** 1. ლი დანი – სინგფინ ჟონი (ჩინეთიძ – 47.600. 2. კარენ კოკბურნი – როსინა მაგლენანი (კანადაძ – 46.900. 3. ანა სავკინა – ეკატერინა ხალკო (უზბეკეთიძ – 45.300. **ვაჟები.** 1. თეშუია სოტომურა – იასუჰირო უეიამა (იაპონიაძ – 50.800. 2. სებასტიან მარტინი – გრეგუარ პენესი (საფრანგეთიძ – 50.000. 3. ალექსანდრ ჩერნონოსოვი – იური ნიკიტინი (უკრაინაძ – 50.000.

**დღეს შეჯიბრებაში ახალგაზრდა სპორტსმენები ჩაებმებიან.**

ძალოსნობა

# ოთხნი კორეის ფიცარნაგზე

**კორეაში 21 ნოემბრიდან დაიწყება ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ახალგაზრდა მწვრთნელის ალეკო ნოზაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ოთხი წარმომადგენელი იასპარეზებს.** 27 ნოემბერს ფიცარნაგზე გავა ზუგდიდელი თემურ გოგია (94 კგ.ძ, რომელიც ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა დიდ სპორტს. 29 ნოემბერს კი ძალებს გამოცდიან პეკინის ოლიმპიადის მონაწილე ალბერტ კუზილოვი, გიორგი მაჭავარიანი (ორივე 105 კგძ და მძიმეწონოსანი ირაკლი თურმანიძე. ეს შეჯიბრება, ფაქტობრივად, მზადება იქნება ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელსაც გაისად ანტალია უმასპინძლებს.

ვაჰ, დრონი, დრონი!..

# „ფეხბურთის კარუზო" მირჩევნია...

**1956 წლის შემოდგომის ერთ სუსხიან დღეს მოსკოვში „დინამოს" მეტროს ამოსასვლელთან თბილისელ მეგობარს ველოდი. ჩვენი ფეხბურთის ფლაგმანს თბილისის „დინამოს" საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის კალენდარული მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივთან" უნდა გაემართა. თამაშის დაწყებამდე ორი საათი იყო დარჩენილი. სტადიონის შესასვლელთან გულშემატკივართა ძალიან დიდ ჯგუფს მოეყარა თავი.**



კარგად მესმოდა მათი ხმამაღალი კამათი. მოდავეების ერთი მხარე უმტკიცებდა თავის ოპონენტებს, რომ „ლეიტენანტების" (ასე უწოდებდნენ მოსკოვის ცდკა-ს სახელოვან კლუბსძ გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი, ახოვანი ვარსკვლავი ვსევოლოდ ბობროვი ბევრად სჯობდა ავტოქარხნელთა თავდამსხმელ ედუარდ სტრელცოვს. „ჩვენი „ვსევა" (ბობროვიძ მეტეორივით დაქრის მწვანე მინდორზე. მოტყუებაში და მეტოქის მცველთა გაბითურებაში მას ვერავინ შეედრება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ... ბორის პაიჭაძეს. ახლა კარში დარტყმები როგორი აქვს? იგი არა მარტო ფეხბურთის, არამედ შაიბიანი ჰოკეის გენიაა. ძნელად თუ მონახავთ ასეთ უნიკალურ ადამიანს", – ამბობდა ერთი შავ მოსასხამში გამოწყობილი გულშემატკივარი. „ვსევოლოდ მიხაილოვიჩი არ იყო, რომ შავი დღე აყარა კანადელ პროფესიონალებს?" მერე „ტრიბუნაზე" სტრელცოვის მომხრეები გამოჩნდნენ. ისინი უფრო აგრესიულ ტონში კამათობდნენ და გაჰკიოდნენ, რომ ედუარდმა ფეხბურთის თამაში აკვნიდან ისწავლა. თქვენ ვსევოლოდ ბობროვს თუ რუსული ფეხბურთის „შალიაპინი" უწოდეთ, ჩვენმა „სტრელცოვმა", კარგა ხანია, უდიდესი სიყვარული დაიმსახურა და იგი სამართლიანად ატარებს საბჭოთა „ფეხბურთის ესენინის" სახელს... ამ დავას სულგანაბული ვუსმენდი. ჩემი მეგობარი კი არ ჩანდა. ბოლოს ერთი სტრელცოვის თაყვანისმცემელი მომიტრიალდა, სიგარეტი მთხოვა და ხმამაღლა ყველას გასაგონად მკითხა:

– შენ რომელი ცენტრალური თავდამსხმელი გირჩევნია? ბობროვი თუ სტრელცოვი?

– მე „ფეხბურთის კარუზო" ბორის პაიჭაძე მირჩევნია. ჩემს ირგვლივ მყოფმა გულშემატკივრებმა ერთხმად დამიდასტურეს, რომ ბორის პაიჭაძეს ბადალი არა ჰყავს.

**შალვა ძირია,**

***საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, სპორტული ჟურნალისტი.***

**სურათებზე: ბორის პაიჭაძე; მეგობრული შარჟი.**



ინტერნეტიდან

## ვიერი – ბრაზილიაში



**ამას წინათ გახმაურდა, თითქოს სახელგანთქმული იტალიელი თავდამსხმელი კრისტიან ვიერი თავს ანებებსო დიდ ფეხბურთს. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ ის ბრაზილიაში გაემგზავრა და აპირებს კონტრაქტის გაფორმებას „ბოავიშტასთან".**

როგორც ამბობენ, შეთანხმება ნახევარწლიანი იქნება და ვიერი თვეში 50 ათას დოლარს მიიღებს ხელფასად. კონტრაქტის მიხედვით, ფეხბურთელს ასევე ეკუთვნის ავტომანქანა მძღოლით და ბინა.

## ფიგურისტის დებოში

**ამერიკის ქალაქ ლეიკ-პლესიდეში, სადაც მიმდინარეობს აშშ გრან-პრის გათამაშება ფიგურულ სრიალში და სადაც ჩვენებურმა ქალიშვილმა ელენე გედევანიშვილმა ქალთა ასპარეზობაზე მეექვსე ადგილი დაიკავა, დიდი დებოში ატეხა მამაკაცთა შორის მე-10 ადგილზე გამოსულმა რუსმა ფიგურისტმა ანდრეი ლუტაიმ. ჩავარდნით გამწარებული რუსეთელი ძალზე რომ გამოთვრა, ჯერ ჩხუბი ატეხა, შემდეგ კი ავტომანქანა გაიტაცა. იმასაც ამბობენ, რომ დაკავების დროს წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელებს.**

რუსეთის ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტმა ვალენტინ პისაევმა დაადასტურა, რომ ლუტაი ამერიკის ციხეში მოხვდა. მისი მწვრთნელი ალექსი მიშინი კი ლეიკ-პლასიდში დარჩა თავისი აღზრდილის გამოსახსნელად. როგორც ამბობენ, ლუტაის გამოსახსნელ გირაოდ პოლიციამ 100 ათასი დოლარი დააწესა.

იმასაც ამბობენ, რომ ფიგურისტი თითქოს საერთოდ არ სვამდა, მაგრამ ჩავარდნის შემდეგ, რადგან მწვრთნელმა შეაჩვენა, დალევა გადაწყვიტა და ყველაფერი ამას მოჰყვაო. საერთოდ კი ყოველივე ამას ლუტაის კარიერის დასასრულად მიიჩნევენ, რადგან ამ სკანდალის შემდეგ მას ნაკრებში აღარავინ აიყვანსო.

## შერილიმ ვიქტორიას გაასწრო

**„ლოს-ანჟელეს გალაქსისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის დევიდ ბექჰემის ცოლი ვიქტორია აღარაა ფეხბურთელთა ცოლების დედოფალი. ახლა ამ რეიტინგით პირველობს შერილი კოული – „ჩელსის" ფეხბურთელის ეშლი კოულის მეუღლე.**

ბოლო ორი წლის განმავლობაში სწორედ ვიქტორია ბექჰემს აღიარებდა ბრიტანული მასმედია „ნომერ პირველად" ფეხბურთელთა ცოლებს შორის, ახლა კი ტახტზე აღზევდა შერილი. მან 6,9 მილიონი ევრო გამოიმუშავა ტელევიზიისა და სპონსორული კონტაქტების წყალობით, აგრეთვე მუსიკალური სოლო კარიერით.

შერილის ამის მიხედვით უფრო დიდი მომავალი აქვს, – ამბობენ მასთან დაახლოებული წყაროები. ვიქტორიასგან განსხვავებით, მისი ვარსკვლავი ახლა ამობრწყინდა და მალე უფრო აკაშკაშდება. მას შეეძლება უფრო მეტი ფულის გამომუშავება, ვიდრე ახლა. ჯერჯერობით ის უსწრებს კოლინ რუნის (8 მილიონი ევროძ, ფრენკ ლეპარდის ყოფილ სატრფოს (3 მილ. ევრო) და პიტერ კრაუჩის გულისვარდს ემი კლანსის (2. მლ. ევროძ.



წარდგინება

# „წინ მარადისობაა!..“

**თანამედროვე ქართულმა მწერლობამ ოთარ ჭილაძის სახით კიდევ ერთი მძიმე დანაკლისი განიცადა. მწერლის გარდაცვალებიდან მე-40 დღეს საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა მისი დიდი შემოქმედება. ამ დღესთან დაკავშირებით გამომცემლობა „ინტელექტმა“ ოთარ ჭილაძის**



**პოეტური კრებული და პუბლიცისტიკა გამოსცა. „წინ მარადისობაა“ და „100 ლექსი“ — ასე ჰქვია წიგნებს, რომელთა წარდგინებაც საჯარო ბიბლიოთეკის III კორპუსში მოხდა.**

წიგნში „წინ მარადისობაა“ მწერლის ბოლოდროინდელი საგაზეთო ინტერვიუებია დაბეჭდილი. აქვე პირველად ქვეყნდება მის არქივში მოძიებული ჩანაწერები საზოგადოების ცნობილი პიროვნებებისა და მოვლენების შესახებ. წიგნის მესამე ნაწილი განსაკუთრებულია იმითაც, რომ იგი ეთმობა მწერლის ავტობიოგრაფიას, რომელიც ოთარ ჭილაძემ მესამე პირში დაწერა.

პოეტური კრებული „ინტელექტის“ საგამომცემლო სერია „100 ლექსით“ გამოიცა, რისთვისაც უდავოდ მადლობის ღირსია გამომცემლობის დირექტორი კახმებ კუდავა. წიგნების რედაქტორი და შემდგენელია ახალგაზრდა მწერალი ზვიად კვარაცხელია.

გამომსვლელთ კიდევ ერთხელ გამოხატეს პატივისცემა და შემოქმედებითი სიყვარული ოთარ ჭილაძისადმი. ტარიელ ჭანტურია, ზვიად კვარაცხელია, გურამ სალარაძე, ჯემალ ლომინაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და სხვა მრავალი საზოგადო მოღვაწე ერთმანეთს ენაცვლებოდა და იხსენებდა დიდი მწერლის განვლილ გზას.

ოთარ ჭილაძის შემოქმედება — პოეზია, პროზა სამშობლოს სიყვარულითაა გამსჭვალული. სევდანარევი სიყვარულით წერდა ის წუთისოფელზე. მას ახასიათებენ არისტოკრატად, უკეთილშობილეს მადლიან ქართველ კაცად. სწორედ ასეთმა დატოვა სამშობლო. ერთ-ერთ ლექსში აკი თავადაც ამბობს: „მოვკვდები როგორც ქვეყნის ნაწილი და არა — წუთისოფლის სტუმარი“...

კიდევ ერთი ვარსკვლავი მოსწყდა კაბადონს... მაგრამ თითოეული ქართველის ოჯახში



„მუდმივად იმუშავებს“ მისი შემოქმედება.

**ხატია მუსერიძე**

**P. S. აღსანიშნავია, რომ გამომცემლობა „ინტელექტმა“ ანა კალანდაძის „100 ლექსი“ და პროზაული კრებულიც გამოსცა: „სიყვარულისგან ფართოვდება ქვეყანა“ (მინიატიურები, მოგონებები, საუბრები, ფრაზებით დახატული პორტრეტები“). ამ წიგნების წარდგინება მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართა. პროზაული კრებული 1996 წელს გამოცემული ანა კალანდაძის ორტომეულის მე-2 ტომის მიხედვით გიორგი გოგოლაშვილმა შეადგინა.**

**ხ. მ.**

არის წინადადება!

## ოქტომბრის პირველი დღე ახალი სასწავლო წლის დასაწყისად დავაკანონოთ

**ორი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც მეფის რუსეთის ხელისუფლებამ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ახალი სასწავლო წლის დაწყების თარიღად 1 სექტემბერი შემოიღო. ასე გაგრძელდა საბჭოთა ხელისუფლების დროსაც. რუსეთში სწავლა 1 სექტემბერს რომ იწყება, ეს იქაურ კლიმატს მისადაგებულია და გამართლებულიც არის. მაგრამ რაც შეეხება საქართველოს, გაუმართლებელია. ჩვენში სულ სხვა კლიმატია და ის საშუალებას გვაძლევს სწავლა დავიწყოთ 1 ოქტომბერს.**

წლეულს ჩვენს საჯაროს კოლეჯში სწავლა 14 სექტემბერს დაიწყო, უმაღლეს სასწავლებლებში კი — თვის ბოლოს. ფაქტობრივად 14 სექტემბერი ძველი სტილით იგივე 1 სექტემბერია. 1528 წელს რომის პაპის გრიგორ XIII-ის დეკრეტით გაუქმდა 325 წელს პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებული იულიუსის კალენდარი და შემოიღეს გრიგორიანული კალენდარი, რომელსაც ახალი სტილი უწოდეს. თუ გვინდა დავადგინოთ ესა თუ ის თარიღი ძველი სტილით, საჭიროა ახალი სტილის თარიღს 13 დღე მივუმატოთ. ეს მეთოდი ძალაში რჩება 2100 წლის 29 თებერვლამდე. ჩვენში ახალი სტილის წელთაღრიცხვა მხოლოდ 1918 წელს შემოიღეს: 18 აპრილი პირველ მაისად გამოაცხადეს.

ძველ ქართულში ოქტომბრის თვეს სთვლისა ჰქვია, ხოლო ქართული ხალხური კალენდრით — ღვინობისთვე. კარგი იქნება თუ ამ მშვენიერი თვის პირველი დღე ჩვენში ახალი სასწავლო წლის დაწყების დღედ დაკანონდება. ამით ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოვიშორებთ მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ დადგენილ წესს და ჩვენს საკუთარს დავამკვიდრებთ.

**დურმიშხან ცინცაძე**

ხსოვნა

# ლევან (ლეონიდე) სიმონიანი

76 წლისამ ამქვეყნიური ცხოვრების გზა დაასრულა ჩვენი ქვეყნის ამაგდარ და ღირსეულ ადამიანთა გამორჩეულმა წარმომადგენელმა, სანადირო სპორტისა და სასტენდო სროლის ღვაწლმოსილმა და დამსახურებულმა მუშაკმა, სანიმუშო მოქალაქემ და პიროვნებამ, სპორტის საპატიო ოსტატმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, ღირსების ორდენის კავალერმა ლევან (ლეონიდე) რომანის ძე სიმონიანმა.



არიან ადამიანები, რომლებიც, რა სფეროშიც არ უნდა მოღვაწეობდნენ, საკუთარი ცხოვრებით და საქმიანობით, პიროვნული სიძლიერით და ადამიანური ხიბლით, სანიმუშო მაგალითს იძლევიან და განუმეორებელ ნათელ კვალს ტოვებენ ჩვენ ირგვლივ. სწორედ ასეთი იყო ლევან სიმონიანი.

წავიდა ჩვენგან ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი, ქვეყნისა და ხალხის, ოჯახისა და ნათესავების, მეგობრებისა და ახლობლების წინაშე ვალმოხდილი, ნამდვილი ინტელიგენტი, მისაბაძად კეთილშობილი, მაღალი ზნეობითა და ღირსებებით შემკული ადამიანი, უმწიკვლო რეპუტაციისა და შეუვალი ავტორიტეტის მქონე, უაღრესად გაწონასწორებული პიროვნება.

ლევან სიმონიანმა ღირსეული და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო. ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მან მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ქვეყანაში სამონადირეო სპორტის განვითარებას და სასტენდო სროლას. 1959 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს სამხედრო მონადირეთა კავშირს. იგი ხალხთა სპარტაკიადებისა და ქვეყნის ჩემპიონატების არაერთგზის მონაწილე და გამარჯვებულია. დიდი წვლილი აქვს შეტანილი მაღალკვალიფიციური სპორტსმენების, მათ შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების არაერთი თაობის აღზრდაში, რისთვისაც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით 1999 წელს დაჯილდოებული იქნა ღირსების ორდენით.

ყოველთვის სათანადო ღირსებით წარმოჩენილი ლევან სიმონიანის ცხოვრების წესი და რიგი, განგებისგან მონიჭებული სანდომიანი გარეგნობა და ნიჭიერება, უმაღლესი ზნეობრივი და განსაკუთრებული ადამიანური თვისებები განუმეორებელ ხიბლს ანიჭებდა მის პიროვნებას, ყველასათვის კეთილმოსურნე, გაჭირვებაში და დალხინებაში მუდამ ვაჟკაცურად გვერდში მდგომი, არავის არ აკლებდა ზრუნვას და ადამიანურ სითბოს, რისთვისაც მას ყველა დიდ პატივს სცემდა, აფასებდა და უყვარდა.

მაღალი დონის პროფესიონალი, ქალაქური ტრადიციების ღირსეულად მატარებელი, ბრწყინვალე თბილისელი კაცი, ამქვეყნად სიკეთის, სიყვარულისა და კაცობისთვის მოვლენილი ადამიანი, ღირსეული ოჯახის დიდებული თავკაცი — ასე იცნობდნენ ლევან სიმონიანს და ასეთივედ დარჩება იგი, მისი გარდაცვალებით განცდილ გულისტკივილთან ერთად, მისი მრავალრიცხოვანი კოლეგების, აღზრდილების, მეგობრების, ახლობლებისა და ნათესავების ხსოვნაში.

ლევან სიმონიანს დავიწყება არ უწერია. მის ნათელ ხსოვნას მუდამ პატივი მიეგება და წმინდა სანთლებად აენთება მადლიერი ადამიანებისგან, მათ შორის ოჯახის, ახლობლების, მეგობრებისა და ნათესავების მხრიდან.

ღმერთმა ნათელი დაგიყენოს წმინდა სასუფეველში, ჩვენო საყვარელო „რომანიჩ“. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

მეგობრები, ახლობლები

რევაზ და მერაბ მიქაბერიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი ადამიანის, სანიმუშო მოქალაქისა და ბრწყინვალე პიროვნების

ლევან (ლეონიდე) რომანის ძე სიმონიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და სანათესაოს.



სულთათანა



# ტკივილიანი განშორება

## საშა (ალექსანდრე) ლონდარიძის ხსოვნას

სიკვდილი ყველა ასაკში დიდი ტკივილია, მაგრამ აუტანელია მთლად ახალგაზრდას, საღ-სალამათს მოსარკულ ცაზე მეხთატეხასავით რომ ეწვევა. არც ხანდაზმულისაა ადვილად გადასატანი.

ჩვენს მეგობარს, კოლეგას, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს საშა (ალექსანდრე) ლონდარიძეს თავისი გზის გავლა ბოლომდე ეწადა. ახლა აპირებდა ის მეცნიერების ყველაზე მაღალი მწვერვალის დაპყრობას. განგებამ ამისთვის ყველაფერი უბოძა — შესანატრი ნიჭი, კვლევა-ძიების უნარი, შრომისმოყვარეობა.

ჩვენი საშა გეოეკონომიკის, გეოპოლიტიკისა თუ საერთაშორისო ეკონომიკის ურთულეს ლაბირინთებში ისე დაატარებდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომ თითოეულ მათგანს დაბნეულობის ნაცვლად კმაყოფილების გრძნობა ეუფლებოდა.

საშამ თავის სპეციალობასა და მასთან მონათესავე დარგებში ყოველთვის ზუსტად იცოდა, დედამიწაზე რომელი საჭირო წიგნი სად გამოდიოდა და როგორ შეეძინა.

ყველას სიამოვნებდა მასთან საუბარი, კამათი, მაგრამ, ვაი, რომ შემოალამდა, შუა გზაზე შემოალამდა... და როცა გაიხსენებთ ნიჭიერ, დიდად განსწავლულ, სტუდენტებისთვის თავდაუზოგავ, საყვარელ პედაგოგს, ძვირფას მამას, ერთგულ მეუღლეს, საშა დაგიდგებათ თვალწინ და სინანულის გრძნობა შეგიპყრობთ.

ჩვენო საშა, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

რევაზ გოგოხია, შოთა ვეშაპიძე,
მურმან ტურავა,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები,
პროფესორები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ალექსანდრე (საშა) ლონდარიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ღუღუნი ჭანტურია შვილებითა და შვილიშვილებით მწუხარებით იუწყება სიძის

ალექსანდრე (საშა) ლონდარიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის დიდ სანათესაოს და სამეგობროს.

ნანი და გურამ ფიფიები ოჯახით — შვილებითა და შვილიშვილებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (საშა) ლონდარიძე

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

ციალა, ნატალია, მარინა, ირაკლი, თეიმურაზი ოჯახებით იუწყებიან

გიორგი ივანეს ძე ანდრიაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ლაური ჯანაშია ოჯახით თანაუგრძნობს შორენა და თენგიზ შოშიაშვილებს სიძის

გიორგი ანდრიაძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე მანანა, შვილები ია, ხათუნა, შვილიშვილები ლადო, დიმა, სიძე ილია გუჯაბიძე, რძალი თამუნა ოძელაშვილი, შვილთაშვილი ანა გუჯაბიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ (ვოვა) ივანეს ძე შულაია

პანაშვიდი 19, 20 XI, 17 სთ. დაკრძალვა 21 XI, 14 სთ. ქ. თბილისი, დიდი დიღომი, II მიკრორაიონი, თავდადებულის 10.

## ყველაფერი ყველაფერზე

### რაში მიიღო აინშტაინმა ნობელის პრემია?



**ალბერტ აინშტაინს 1921 წელს მიენიჭა ნობელის პრემია არა საყოველთაოდ ცნობილ ფარდობითობის თეორიისთვის, რომელიც მან მთელი 16 წლით ადრე გამოაქვეყნა, არამედ ნაშრომში ე.წ. ფოტოეფექტისთვის.** თვით პრემია მეცნიერმა ერთი წლის შემდეგ (1922 წელს) მიიღო დიდ დანიელ ფიზიკოს ნილს ბორთან ერთად.

### პოკერი

**დღეისთვის ესოდენ გავრცელებული ქაღალდის თამაში პოკერი სამი ათასი წლის წინათ ძველ სპარსეთში გამოიგონეს.** მაშინ მას „ტუზი“ ერქვა და უკვე მოიცავდა ყველა (დღევანდელ) ძირითად კომბინაციას. მაშინვე მოქმედებდა ბლეფი, როგორც ამ თამაშის ძირითადი ხერხი.



ევროპაში ეს თამაში აღმოსავლეთიდან დაბრუნებულმა ჯვაროსნებმა გაავრცელეს. იტალიაში მას „პრიმერო“ ერქვა, საფრანგეთში „ბულოტი“. ლუიზიანაში იგი ფრანგმა კოლონისტებმა შეიტანეს, მისისიპიდან კი მთელ ამერიკაში გავრცელდა.

### რუსოს სიტყვები დედოფალს მიაწერეს

**როდესაც საფრანგეთის ახალგაზრდა დედოფალს, ავსტრიელ მარია-ანტუანეტას კარისკაცებმა უთხრეს, რომ პარიზელებს პური აკლიათ, მან თითქოს თქვა, არა უშავს ნამცხვარი ჭამონო.**

არც მარია-ანტუანეტას, არც რომელიმე სხვას ეს სიტყვები არ უთქვამს. ისინი ჟან-ჟაკ რუსოს ეკუთვნის, რომელმაც 1760 წელს (მაშინ, როცა მარია-ანტუანეტა ის-ის იყო დაიბადა) თავის წიგნში „მწამს“ „დიდ მთავარს“ (ეტყობა, ტოსკანის ჰერცოგის ცოლს) წარმოათქმევინა. ისე, რომ მარია-ანტუანეტა აქ მართლაც არაფერ შუაშია.

### 20 წლის შემდეგ მოიგონა

**როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ნაპოლეონმა ეგვიპტეში ბრძოლის წინ ჯარისკაცებს თითქოს ასეთი სიტყვებით მიმართა: „ჯარისკაცებო, ამ პირამიდების სიმაღლიდან თქვენ ორმოცი საუკუნე გიყურებთ“.**

ხომ ლამაზი და ეფექტური სიტყვებია, არა? სინამდვილეში კი, როგორც ეს კარგად არის ცნობილი სოლიდური ისტორიკოსებისთვის, ნაპოლე-



ონს ამის მსგავსი არაფერი უთქვამს. ეს სიტყვები 20 წლის შემდეგ შეთხზა, როცა წმინდა ელენეს კუნძულზე მემუარებს წერდა.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

**18 ნოემბერი**

**24-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.**

**ხსენება წმიდა პავლესი – კონსტანტინეპოლის პატრიარქისა და აღმსარებლისა (350ძ; მოწამე ტეკუსასი, ალექსანდრასი, პოლაქტიასი, კლავდიასი, ეფროსინესი, ათანასიასი და მატრონასი (IIIძ; ღირსი ლუკა ტავრომენიელისა (800-820ძ.**

### დაიბადნენ:

**1831 – ჯეიმს აბრაჰამ გარფილდი,** აშშ-ს პრეზიდენტი, მოკლეს 1881 წელს.
**1839 – ემილ შკოდა,** გერმანელი ინჟინერი, ცნობილი ფირმის დამაარსებელი, გარდაიცვალა 1900 წელს.
**1843 – რიჩარდ ავენარიუსი,** შვეიცარიელი ფილოსოფოს-იდეალისტი, გარდაიცვალა 1859 წელს.
**1910 – გიორგი შავგულიძე,** თეატრისა და კინოს მსახიობი, გარდაიცვალა 1959 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1665 – ნიკოლა პუსენი,** ფრანგი მხატვარი.
**1828 – ფრანც პეტერ შუბერტი,** ავსტრიელი კომპოზიტორი.
**1962 – გრიგოლ რობაქიძე,** გამოჩენილი მწერალი.

### მოვლენები:

**1917 წელი** – თბილისში გაიხსნა პირველი ეროვნული ყრილობა.
**1949 წელი** – მონაკოს ტახტზე ავიდა პრინცი რენიე III.
**1969 წელი** – ამერიკული კოსმოსური ხომალდი „აპოლონ 12“, რომელსაც მართავდნენ კოსმონავტები ჩ. კონრადი, ა. ბინი და რ. გორდონი, მთვარეზე დაჯდა.
**1978 წელი** – „ეროვნული ტაძარის“ სექტის წევრების მასობრივ თვითმკვლელობას 911 ადამიანი შეეწირა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**მონაკო** – ეროვნული დღე.
**პუერტო რიკო** – აღმოჩენის დღე.

**მედიანიუსი**

## პირკატა გეცემათ

### სახელგანთქმული ფისოები



**კატა ვიკი** ბრიტანული ლინკორ „დაკ ოფ იორკიდან“ სახელგანთქმულია იმით, რომ გერმანულ ლინკორ „შარნხოსტთან“ საარტილერიო ბრძოლის დროს მთელი 9 საათის განმავლობაში ეძინა.

**კატა ჩუმა** ოდესაში საბჭოთა სავაჭრო გემის ბორტიდან გაიქცა, მაგრამ 7 თვის შემდეგ დაბრუნდა გემის მისასვლელ ნავსადგურში – მურმანსკში.

**კატა ფელისეტი** მსოფლიოში პირველია კატა – კოსმონავტი. 1963 წლის 18 ოქტომბერს საფრანგეთმა კოსმოსში გაუშვა რაკეტა, რომლის ბორტზეც კატა იმყოფებოდა. მომზადების პროგრამაში 12 ცხოველი იყო, მაგრამ კატა ფელიქსმა, ანუ ფრანგმა „გაგარინმა“ შეძლო გაქცეულიყო. იგი მაინც გაუშვეს კოსმოსში. მის სახსოვრად გამოშვებულია მარკა.

**კატა ტაუზერი** 24 წლის განმავლობაში მსახურობდა ვისკის წარმოების ქარხანაში. თავისი სამსახურის დროს დაიჭირა 30 ათასი თაგვი და ვირთხა. შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში.

## ანეკდოტები

დაიჭირა სვანმა ოქროს თევზი.
– გამიშვი და, სამ სურვილს შეგისრულებო! – შეევედრა თევზი.
– მაშ, ასე, – ამოღერღა სვანმა, – ცოლად მინდა ბოლო „მის მსოფლიო“, აგარაკი კანარის კუნძულებზე და ორი მილიარდი დოლარი! ეს – ერთი...

* * *



ფრთიანი ფრაზა – „კალმით დაწერილს ნაჯახით ვერ მოშლი“ – ერთგვარად დაძველდა.
ახლა უფრო აქტუალური ასეთი გამოთქმაა: „აწყობილს კლავიატურით არმატურით ვერ ამოაგდებ“.

* * *

უმაღლესი თვითკრიტიკულობა – ეს ის არის, რომ მოიფიქრო ანეკდოტი, ინტერნეტით გაავრცელო და შემდეგ კი, როცა მას მოგიყვებიან, გულგრილად თქვა – „სისულელეა!“.

* * *

კორუფციის წინააღმდეგ ფულის გამოყოფა იგივეა, რაც ლოთობასთან საბრძოლველად არყის გამოყოფა.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



### მორცხვი გიგანტი და ჯუჯა დედა

**ამ დღეებში მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაცის ტიტული, გინესის რეკორდების წიგნის ვერსიით, მოიპოვა 27 წლის თურქმა მოქალაქემ სულთან კოსენმა. მისი სიმაღლეა 2 მეტრი და 47 სანტიმეტრი. გიგანტმა ჟურნალისტებს აცნობა: ყველაზე მეტად მინდა მქონდეს მანქანა, რომელშიც შემეძლება შევძვრე, მაგრამ ყველაზე მეტი იმედი მაინც ცოლის შერთვისა მაქვს. მე არასოდეს მყოლია საყვარელი, ჩვეულებრივად ჩემი ყველას ეშინია.**

**აი, სიდაბლე სიყვარულისთვის დაბრკოლება არ არის. დიდ ბრიტანეთში ყველაზე დაბალი ქალი, შეიძლება იგი მსოფლიოშიც ყველაზე პატარა იყოს, ერთი წლის წინ გახდა დედა. ჯუჯა კარინა უაიტი 33 წლისაა. მისი ქმარი 38 წლის პოლი ძალიან ბედნიერია, მიუხედავად იმისა, რომ პატარა თავის დედასავით ჯუჯა იქნება.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.